10
967



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

6
1967

# აქარგული, ჩაქარგული

მუსიკა ნუნუ გაბუნიასი

ტექსტი გივი ძნელაძისა




აჭიკჭიკდნენ ჩიტუნები,
აჩუხჩუხდა ნაკადული,
აელვარდა არე-მარე,
აქარგული, ჩაქარგული.

გაზაფხულმა გაგვახარა,
გალამაზდა მთა და მდელო,
ამღერდა და ახმაურდა
საყვარელი საქართველო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, რა მოგვცა ოქტომბერმა!




ის, რასაც მოხუცი მიამბობდა, ძნელი დასაჯერებელი გახლდათ.

ორსართულიანი ოდის ღია ფანჯრიდან ჩანდა მარმარილოთი და ვარდისფერი ქვით მოპირკეთებული, სვეტებიანი მაღალი შენობა.

ეს არის ერთ-ერთი იმ ხუთი სკოლიდან, რომელიც სოფელ ნატანებში საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიხსნა.

ზღვიდან მონადენი გაზაფხულის სიო არხევდა გამჭვირვალე ფარდას. როცა სიო იალქანივით გაბერავდა თეთრ ფარდას და მერე ტკაცუნით ააფრიალებდა, შორს თვალს მოკრავდით აჭარა-გურიის მთებს, უფრო ახლოს კი — სოფლის კორტოხებს, ფერდობებზე ჩაის ბუჩქებსა და ციტრუსების პლანტაციებს.

ოთახში შემოდიოდა ზღვის, ტრიფოლიატის და რომელიღაც ციტრუსის ფოთლის სპეციფიკური სურნელი.

ეზოში, მზის სხივებზე კრიალი გაჰქონდა კარაქისფერ „ვოლგას".

ბაბუა ეპიფანე კი მიამბობდა და, ამ მზიან ამინდს, ამ მოქარგულ გორაკებსა და კოპწია ოდა სახლებს წამით ე ფ ა რ ე ბ ო დ ნ ე ნ

## წარსულის ფურცლები:

### მოგონება პირველი: მალარია!

— უი, ნენა, იწვის ბავშვი!

ისლით დახურული ფაცხის წინ დაბალ ჯორკოზე მჯდომი, ხელებში თავჩარგული, მწარედ დაფიქრებული კაცი ზე წამოიჭრა:

— დავიღუპეთ აბა, მალარიაა?

დედამ ლოყა ჩამოიხოკა.

— ფხალის ფურცელი დაადე შუბლზე?

— არ უშველა.

— სილიანი ბალიში კისერზე?

— არაფერი არ შველის. ბოდვა დაიწყო. გაიქეცი ფერშალთან.

უკვე კარგა შეღამებული იყო, როცა იაგორა ფერშალი თავისი გაძვალტყავებული ბებერი ცხენით ავადმყოფის ჭიშკარს მოადგა.

## ფეხის წვალება

დღეს უკვე მეცხრე ავადმყოფთან მიდის და ცხრავე შემთხვევაში დიაგნოზი ერთია — მალარია.

„დაიქცეს ბარემ აქაურობა და ისაა. ამ მხარის საშველი არ არის და არც არასოდეს იქნება, — გულში ბრაზობს სასტიკი მალარიის წინაშე უძლური ფერშალი. — ჭენჭეხი და ჭაობი, კოღო და ბუზი... არა, არ მოისპობა მალარია", — ფიქრობს სოფლის ფერშალი, დამხვდურთა ყვითელ სახეებს თვალს არიდებს, ჭირისუფალთა დასამშვიდებლად რაღაც წამალს ტოვებს, ავადმყოფისათვის მურაბიანი ჩაის აუცილებლობას იმეორებს. სიტყვაზე „მურაბიანი" დამნაშავესავით წითლდება და, ქოხიდან გასული, თავის ფერდებჩაცვენილ თოხარიკზე იყრის ჯავრს.

აბოდებს ავადმყოფ ბავშვს. ღამე გრძელია, ნოტიო, უიმედო.

— ყი,-ყი,-ყი, — მთელი ღამე გულისწამლებად ყიყინებენ ჭაობისფერი ბაყაყები.

### მოგონება მეორე: სირცხვილი!

ჩაბალახიანი შუამავალი ხმადაწევით აქებს სასიძოს.

ქალის მამა სმენადაა ქცეული.

— სიძეს წუნი არ დაედება. ალალი, მშრომელი, გულიანი, კაი გვარიშვილი, ოზურგეთიდან ორ ნაბიჯზეა მისი სოფელი.

ქალის მამა თითქმის თანახმაა.

ბოლოს ღიმილით კითხულობს:

— რომელი სოფლიდანაა, რა თქვი?

— აგერ ა, ნატანებიდან.

ღიმილი ჩაქრა.

— თუ გიყვარდე, გერასიმე ჩემო, მაგი მეორედ არ მკადრო. ნატანებში მალარიით სასიკვდილო ქალი სად მყავს მე!

— ლექსიცაა, შვილო, მაგაზე გამოთქმული. — იგონებს ეპიფანე ბაბუა ამ ეპიზოდის გახსენებაზე.

„ვაი, ვუი, ნატანებსო,
ქალი არ გამატანესო..." —

დაუკვნესია ვიღაცას სირცხვილით და ტკივილით.






10.379.



სკოლის შენობა

## მოგონება მესამე: გერასიმე ბოლქვაძის სკოლა

— გაგიგონია, სად იყო სკოლა!

1908 წელს გერასიმე ბოლქვაძემ დაიქირავა ერთი ოთახი, ახლა რომ ციტრუსების შემფუთავი ფაბრიკაა, იმ დაბლობში, და ორკლასიანი სკოლა გახსნა.

იმ ტაფობს მალარიის ბუდედ თვლიდნენ და სკოლაში ბავშვების გაგზავნას ერიდებოდნენ. დიდი ცდისა და წვალების შემდეგ, მთელი სკოლის კონტინგენტი 14 ბავშვამდე ავიდა.

გერასიმე ბოლქვაძე გახარებული დაბიჯებდა სოფელში.

ხოლო როცა პირველი უმაღლესდამთავრებული კაცი — დანიელ ქინქლაძე სოფელში ჩამოვიდა, მას ისეთი მოწიწებით უცქერდნენ, როგორც კოსმოსიდან დედამიწაზე დაბრუნების პირველ დღეებში იური გაგარინს მისჩერებოდნენ მოსკოველი ბიჭუნები.

— ახლა, ბიძიკო, სოფელში 120-ზე მეტი უმაღლესდამთავრებული მუშაობს, ინსტიტუტში რამდენი სწავლობს, ამას ვინ დათვლის, 15 მარტო სოციალისტური შრომის გმირი გვყავს, — ერთი წუთით თავს აღწევს წარსულის მოგონებებს ბაბუა ეპიფანე.

## მოგონება მეოთხე: კოლექტივი და სამი ცხენი

— იცოცხლეთ, იყო დავა და გაწევ-გამოწევა იმ პირველ კრებაზე, 1930 წელს.

კოლექტივს ვაყალიბებდით.

— არა, თუ კაცი ხარ, ამიხსენი, მე რა სარგებელი მექნება, ჩემი ცხენი წელში გავწყვიტო და მოსავალი ეპიფანე გოგოტიშვილმა წაიღოს. მითხარი, ბატონო და, ცხენი კი არა, თავზე შემოგევლები.

— ხომ არ გადირიეთ, ხალხო! ერთი მეწველი ძროხა მყავს, იგი რომ კოლექტივში შევიყვანო, ჩემს ბალნებს თითები ვაწოვო თუ რა ვქნა!..

...ხალხს უჭირდა „ჩემისა“ და „ჩვენის“ ერთობის გააზრება. მანამდე იყო „ჩემი“ და „სხვისი“. საერთოდ, არ არსებობდა „ჩვენი“. „ჩემი“ კი იყო ის, რაც ჩემს ფაცხასა და ნალიაში იყო, რაც ჩემს ეზოში მქონდა. ხოლო ახალი ცნება „ჩვენი“ უფრო ჰგავდა სხვისას, რადგან ის არ იყო ჩემს ფაცხასა და ჩემს ეზოში.

კოლექტივის შექმნა დაიწყო... სამი ცხენით. ცოტა მეტი იყო ხარი, ურემი, გუთანი, შეგროვდა თესლი.

გაივლო პირველი კვალი „ჩვენს“ მიწაზე და მოვიდა პირველი „ჩვენი“ მოსავალი.

და, როცა ჭაობების ამოშრობა დაიწყო, ყველამ იწამა კოლექტივის სიკეთე.

## გივი წითლიძე სტუმრად გერმანიაში

ნატანებელთა სახელგანთქმულ თავმჯდომარეს გივი წითლიძეს ბევრი იცნობს საქართველოში.

ამას წინათ იგი ტელევიზიით გამოვიდა მეტად საინტერესო საუბრით, რომელიც ეხებოდა სოფლის ეკონომიკის აღმავლობას, და მე იმედი მქონდა, რომ შეხვედრისთანავე ვიცნობდი, მაგრამ გივი...

— გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიიწვიეს სტუმრად. იქაური დელეგაცია ჩვენი სოფლით მოხიბლული დაბრუნდა შინ და ახლა ჩვენი თავმჯდომარე საპასუხო ვიზიტით გაემგზავრა. სწორედ გუშინ წავიდა.

თავმჯდომარის სახელს ახსენებენ პატივისცემით, სიყვარულით, კრძალვით. ყველა, მოხუცი და ახალგაზრდა, ერთნაირი სიყვარულით ლაპარაკობს მასზე.

ეტყობა, ახალგაზრდა თავმჯდომარე უშეცდომოდ პოულობს ადამიანების გულებთან მისასვლელ გზებს.



## მიხეილ შოლოხოვი — ნატანების კოლმეურნეობის წევრი

„ძვირფასო გივი!

გმადლობთ გულთბილი წერილისა და მოპატიჟებისათვის. აუცილებლად მოვალ თქვენს სახელგანთქმულ კოლმეურნეობაში.

გთხოვთ გადასცეთ თქვენს კოლმეურნეებს, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს ჩემი გულითადი სალამი და უაღრესად კეთილი სურვილები. თქვენი **მიხეილ შოლოხოვი**".

დიახ, ცნობილი მწერალი ნატანების კოლმეურნეობის საპატიო წევრია. ზაფხულში საპატიო სტუმარს ელიან ნატანებში.

## არა ჩვეულებრივი, არამედ — მოლაპარაკე ციფრები

არა დიდი ხნის წინათ, არამედ ჩემს თანამოსაუბრეთა მეხსიერებაში სამ სოფელს ერთი ფერშალი—იაგორა თიკანაძე ემსახურებოდა. დღეს ნატანებში 25-საწოლიანი საავადმყოფო, საექიმო უბანი და 2 საფერშლო პუნქტია, 16 ბაგა და ბაღი, 7 ელექტროწისქვილი, 2 კოლმეურნეობის დასასვენებელი სახლი ზღვაზე, ჩაის ფაბრიკა, ციტრუსების შემფუთავი ფაბრიკა, სახერხი ქარხანა, მექანიზებული ფურნე, უნივერმაღი, სპეციალიზებული მაღაზიები, კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, სპორტსკოლა, კულტურის უნივერსიტეტი, სატრაქტორო პარკი, ავტოპროფილაქტიკა, აფთიაქი, აბანო, ქართული და რუსული სკოლები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც სჭირდება თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანს.

სოფელი რადიოფიცირებულია. საღამოობით ბევრ სახლში კიაფობს ცისფერი ეკრანი.

სოფელი უახლესი ამბების კურსშია.

...საავტომობილო გზას მივყვებით.

გაზაფხული სუნთქავს სოფელში.

თაფლის თავბრუდამხვევ, მოტკბო სურნელს აფრქვევენ აფეთქებული ნუშისა და ჭერმის ტოტები.

მორცხვად, თეთრად ჰყვავის ფორთოხალი.

სხლავენ და საკრეფად ამზადებენ სოფლის უმთავრეს სიმდიდრეს — ჩაის პლანტაციებს.

ჩვენი გამყოლი, მთავარი აგრონომი კუკური ნიკოლაიშვილი საქმიანი კაცია. ის არ გეტყვით: ნახე, რა ლამაზად ჰყვავის ატამი! მისთვის ლამაზია რიცხვები: 352 და 202, — ამდენი ჰექტარი ჩაი და ციტრუსები აქვს კოლმეურნეობას. ეს არის ადამიანების სიმდიდრე და სილამაზე. ამ ხუთწლედში კი ამას დაემატება 10 ჰექტარი ჩაი და 64 ჰექტარი ციტრუსები.

ის ფიქრობს იმ 3100 ტონა „მწვანე ოქროზე", წლეულს რომ უნდა ჩააბარონ სახელმწიფოს.

სხვაგვარად არც შეიძლება. კაცი ამ ვეებერთელა მეურნეობაზეა პასუხისმგებელი. მან ხუთი თითივით იცის კოლმეურნეობის ყოველი ჰექტარი. ყველა ხე და ბუჩქი. ის ამ აყვავებულ ატმის ხესაც ამჩნევს. არ ამბობს, თორემ ალბათ მის დანახვაზე ახსენდება:

> **„ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,**
> **ვით დედოფალი უცხო მხარეში..."**

არ შეიძლება არ გაახსენდეს.

**ნარგიზა მგელაძე.**

**...ერების ხშირი სტუმრები არიან ...ლოვანი მეჩაიე ქალები. სოციალისტური შრომის გმირები.**



# პიონერული

### გიორგი გიგაური

მივდივართ,
შუქად მიგვყვება
მშობლიურ სკოლის ნათელი,
გველოდებიან ქედები —
ჯიხვების გადანათელი.

მთებში გაშლილი ბანაკი
შეგვხვდება თბილი ალერსით,
გული არ დაგვიღონდება
იქ, ჭიუხების მხარეში.

მაშ, ისე რიხით ვიმღეროთ, —
ქედებზე გადაიჭექოს,
გულლაღო პიონერებო,
გოგონებო და ბიჭებო.

გვაცილებს დედაქალაქი,
მისი შრიალა ბაღები,
მივდივართ მტკიცე ნაბიჯით,
გაშლილი ბაირაღებით.

ავჩქარდეთ,
ერთხმად გვიხმობენ,
ყვავილიანი ქედები,
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი —
ზღაპრად ნათქვამი ედემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდო ვადაჭკორია

# ჩემი სოფელი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

ლამაზია ჩემი სოფელი, ხუჭუჭა მთებით გარშემორტყმული. შუაში მდინარე ჩაუდის. მდინარე ზოგან ისეთი მეჩხერია, ახალფეხადგმული ბავშვიც იჭყუმპალავებს, ალაგ-ალაგ კი ცხენიანი კაცი დაიმალება.

მაგარი, კოკისპირული წვიმა იცის ჩემს სოფელში. რამდენჯერ გამოვქცევივართ მოხვიას გაღმიდან, აღმართში ამოგვისწრია, ჭიშკარში შევცვენილვართ, მერე ყიჟინით კიბეები აგვირბენია და... წვიმასაც, საშინელი შხუილით, ეზო ჩამოუბნელებია.

ხელად იცის ხევისწყალმა ადიდება, აბობოქრება. კარგ ამინდში ტკბილად მოჩურჩულებს. ადიდდება და, ღრიალით, ორომტრიალით მოდის. ფერსაც იცვლის — რაღაც მოვარდისფრო ჭუჭყისფერი დაედება. ეს ალბათ იმიტომ, თიხნარ ნაპირებს რეცხავს; მოდის და მოაქვს მორღვეული ღობეები, ღობიოშემოხვეული ღჯები, ტაროიანი ყანა... ერთხელ აბლავლებული ძროხაც მოჰქონდა. ნაპირ-ნაპირ, კუდაპრეხილი ხბო მოსდევდა... ბიძაჩემის მეზობელი ახალგაზრდა, ვარდენი გადახტა, რქებში სწვდა და ამოიყვანა. ვარდენი ღონიერიაო — თქვეს. თუმცა ერთხელ კი დაატრიალა მორევმა ორივენი. სამშვიდობოზე გამოვიდნენ თუ არა, ხბო გახელებული მივარდა დედას. ძროხამ ლოკვა დაუწყო. ეტყობოდა, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც წამოუდგა. ხბოც ჯიქანს მივარდა და რძეს ხარბად დაუწყო ყლაპვა...

თევზიც კარგი იცის ხევისწყალმა. რა სჯობია მუხლებამდე წყალში ლორჯოობას, სიპ ქვებზე ხტუნაობას და ცივ ხავსში ხელის ფათურს!

ბიჭები ბადით თევზაობენ. ბიჭებს არ უყვართ სათევზაოდ გოგოების წაყვანა, მაგრამ ერთი ჩვენც გვკითხონ! ვითომ რითი ვართ მათზე ნაკლები!..

მაგრად მიძგერს გული, ბადე რომ ამოაქვთ. ვერცხლისფერი თევზები რიყეზე, ჩვენს თვალწინ ღაფავენ სულს, კუდებს ქვებზე ატლაშუნებენ და პირს ისე აღებენ, თითქოს რაღაცის თქმა უნდათ სიკვდილის წინ. „თუ თევზაობა გიყვარს, თევზის შეცოდება რა მეტიჩრობააო“, მითხრეს და, მეც იმის შემდეგ ხმაჩაკმენდილი ვდგავარ და ვუცქერი თევზების უბედურებას.

სადგურიდან ჩემს სოფლამდე აღმართ-აღმართ მიდის გზა. მთელი გზის გასწვრივ დარაჯებივით დგანან აპრილღვიალებული ბროწეულები და ასკილის ბუჩქები. ამ გზაზე მანქანით მგზავრობა არ მიყვარს. რა სჯობია ურემს! ზიხარ უკულმა, ფეხებგადმოკიდებული; მირახრახებს ურემი და, რამდენხანსაც გინდა დასტკბი შენი მხარის სილამაზით. ქვემოთ, ცისფერ ნისლში ჩახვეული ხეობა მოჩანს; შორს ლურჯი მთები აღმართულან. ვერცხლისფერი რიონი წასულა, წასულა და მერე ისე გაჩერებულა, თითქოს სამშობლოდან წასვლისა ეშინიაო.

ჩემს სოფელში კეთილი, თავაზიანი ხალხი ცხოვრობს. გიცნობს თუ არ გიცნობს, მაინც მოგესალმება. მოგიკითხავს კიდეც.



ეზოებიც პატრონივით ხელგაშლილი მოგეგებება. მოგეგებება კონდარგადაბიბინებული, თავდამძიმებული ჰორტენზიებით, ვაზით დაბურული ოდებით.

ყველაფერი ეს ადრეც გინახავს, მაგრამ მაინც გიხარია და სულ სხვანაირი გგონია.

ხევისწყალაზე ჩელტის ხიდია გადებული. მიდიხარ და აკვანივით გარწევს. ხიდიდან ივანიკა ბიძიას წისქვილის ყავრის სახურავი ჩანს. გაღმა — სოფლის ორღობეები იწყება.

არაფერი მირჩევნია ამ ორღობეებში სირბილს...

ორღობეების აქეთ-იქით ასი სახლია. ყველა სახლში მყავს მეგობარი. მთელი სოფელი ჩემი მეგობარია.

ლამაზია ჩემი სოფელი და ყველა ლამაზია ჩემს სოფელში.

შევალ თუ არა ორღობეში, ერთს დავიძახებ და... პანტაპუნტით ცვივიან ყორეებიდან, ღობეებიდან ჩემი მეგობრები. ჩემს სახლამდე მდინარესავით ვიზრდებით. ერთი ყიჟინითა და სიცილით ავივლით აღმართს.

კაცისთავა მსხალი ჯერ მკუხეა; „ვაშლი და მსხალი ეს-ესაა გამოინასკვა“, მითხრა ბებიამ და, მე რაღაც უხილავი ხელები წარმოვიდგინე, რომლებიც ხეზე ვაშლისა და მსხლის ნასკვებს ჰკრავენ.

სამაგიეროდ, შეხედეთ ბალს!.. როგორ ღვივის მწვანე ფოთლებში! ტოტზე უკვე ჰკიდია გიდელი, — საცაა დაკრეფენ. სულზე ჩამოვუსწარი. ალუბალი კიდევ მჟავეაო, — ქაპულომ. იცის, რა მიყვარს. მეც ვიცი, ჩემო ქაპულო, რაც გიყვარს შენ და ჩამოგიტანე კიდეც! წითელ-ყვითელი ფოჩებიანი კამფეტები გიყვარს. მეტიას კი „შიშველი“ კამფეტები უყვარს, მზე გადის შიგ და ლამაზიაო, — ამბობს.

ეე, ძალიან დამწყდა გული — მეტიასათვის ისევ გადაუპარსიათ თმა! ვერა და ვერ ველირსე თმებიანი მეტიას ნახვას. მე რომ არდადეგებზე ჩამოვდივარ, მეტიას თმა უკვე გადაპარსული აქვს. როგორ მოუხდებოდა ჩალისფერი თმები მის ხორბლისფერ სახეს და ცისფერ, კარგ თვალებს! მეტიას ლამაზი კი არა, კარგი თვალები აქვს. მეტია ბიჭივით ყოჩაღია.

ქაპულოსა და მეტიას ძმა ანდრო ჩემი ძმის, კოტეს ტოლია. სულ იცინის და იმიტომ მიყვარს. ძალიან კეთილია. კოტე და ანდრო ხშირად დადიან სანადიროდ, მაგრამ იმათი მოკლული ჯერ არაფერი გვინახავს. კოტე



ბიძიასთან ერთად როცა მიდის სანადიროდ, ხელცარიელი არასოდეს არ ბრუნდება.

მეც ძალიან მიყვარს ტყეში სიარული. რამდენი გემრიელი ხილი და სოკოა იქ! ახლა ყვავილები?.. თავლიკლიკა შროშანები მუხნარში? რამდენ მოულოდნელ რამეს წავაწყდები ხოლმე.

როგორც ვთქვი, ასი სახლია ჩემს სოფელში და ყველგან მეგობარი მყავს. თუ ყველა არ მოვინახულე, ეწყინებათ.

ლუკა ბაბუას ეზოში ჩასასვლელად, ღელეზე გადებულ ბოგირზე უნდა გახვიდე. ამ ღელის პირზე ხდის ბაბუა არაყს და მთელს სოფელს ეფინება რახის სუნი. იქვე წყაროა, ერთი მტკაველი სიმაღლის ჩელტით შემოღობილი. მწყურია თუ არ მწყურია, ისე როგორ ჩავუვლი ამ წყაროს, ორშიმო არ ამოვკრა მის კამკამა წყალს, მერე კი, ჯამბაზივით ქანაობით გავდივარ ბოგირის ცალ მორზე.

ლუკა ბაბუას ეზოში ბებერი თუთა დგას. ნახევარ ხეს შავი თუთა ასხია, ნახევარს კი — თეთრი, გემრიელი თუთა.

## თხები

მიყვარს ჩემი სოფლის განთიადი. თანდათან იცრიცება დიდი ცა, ნელი-ნელ ნათდება მთის კენწეროები, ჩრდილები ქრება და მთის კალთებზე ნისლი ფრთხება. მზის სხივი არე-მარეს ნათელს ჰფენს, აღვიძებს. იღვიძებს ჩემი ლამაზი სოფელი.

იმ დილასაც, თვალდახუჭულს ტკბილად ჩამესმოდა განთიადით მოტანილი ხმები. უცებ, ვიღაც ფრთხილად შემეხო მხარზე. ცალი თვალით გამოვიხედე, ჭაპულო დამდგომოდა თავზე, ღია კარებში ფეხშიშველა მეტია იდგა.

— ადე, სამწყესურში წამოდი.

წამოვიჭერი, მაგრამ მალე ისევ დავჯექი საწოლზე.

— კი მაგრამ, მე რა წამოვიყვანო?

გოგოებმა მხრები აიჩეჩეს და ერთმანეთს გადახედეს.

— ღორი! — მომაგონდა.

უკანა კიბეები ჩავირბინე, საღორეში თოკი დავითრიე და, რაც ძალა მქონდა, გამოვწიე უზარმაზარი ღორი. მერე თოკი გოგოებს გადავუგდე და ოთახში ავვარდი, ცივი მჭადი და ყველის ნატეხი ცხვირსახოცში შევახვიე (მწყემსი თუ ვარ, საჭმელიც მწყემსური უნდა მქონდეს).

ბიცოლას ჩემთვის უკვე დაემზადებინა „ინტილიგენტური" საუზმე, მაგრამ მე სამწყესურში მივდიოდი და კაკაო რა ჩემი საქმე იყო. კაკაო ფანჯრიდან გადავაქციე, ცხელი ხაჭაპური მაგიდის გადასაფარებლის ქვეშ ამოვდე და ჩემი ღორისაკენ მოვკურცხლე. ჭაპულო და მეტია ერთ გაწამაწიაში დამხვდნენ: ღორი საღორისაკენ იწევდა, გოგოები კი ჭიშკრისაკენ ექაჩებოდნენ.

— აბა! — შევუტიე ღორს. იბრუნა საწყალმა პირი და ახლა მეორე მხრისაკენ დააპირა გაქცევა, მაგრამ წკეპლა გადავუტყლაშუნე და ავაჭყვირე.

მეზობლები ღობეს მოადგნენ. ბუცია და ბიძია აივანზე გამოცვივდნენ. ბიძია კეთილი კაცია. არასოდეს არ მიჯავრდება, მაგრამ ყველაზე უფრო მისი მერიდება. მამა და ბიძია ხასიათით ძალიან გვანან ერთმანეთს... ბიძიას ახლაც ღიმილი უთამაშებდა ტუჩებზე — „ესე იგი საქმე კარგადაა!" — გავიფიქრე.

— სად მიგყავს? — მკითხა შეშფოთებულმა ბუციამ.

— სამწყესურში. რა მოხდა! — გავიკვირვე, — ვაბალახებ და მოვალ...

— ეგრე მაგას ვერაფერს დააკლებ, — ბიძია სახლში შევიდა და სიმინდის ტაროები გამოგვიტანა. — აჰა, დაიჭი, გზა და გზა უყარე...

— ჰო, შეუწყვე ხელი სისულელეებში!.. — უთხრა ბუციამ და ოთახში შებრუნდა.

ღორი არ არის? — საჭმლისთვის ჯოჯოხეთში წამოგყვება; სიმინდის მარცვლებს ისე მოსდევდა, თითქოს წელან სამწყესურში წამოსვლისათვის ქვეყანა არ შეეყაროს.

სამწყესური არც ისე შორსაა ჩვენი სახლიდან, მაგრამ მაინც ძლივს მივაღწიეთ. ჩვენზე ადრე მისულ გოგოებს თხემლის ბუჩქებზე მიებათ თხები. თხემლის ტოტებისაგან კარავი გაეკეთებინათ და შიგ შემძვრალიყვნენ. ზოგი გულაღმა იწვა, ოცნებაში წასული, ზოგი ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღინებდა. ორი გოგო ჩრდილში რიკტაფელას თამაშობდა და „წუბარიკა წუუუს“ გაიძახოდა.

მე და ჭაპულომ ძლივს მივაბით ღორი ხეზე. დიდი უჯიათი ვინმე აღმოჩნდა. იმის მაგივრად, რომ მიწა ეჩიჩქნა და ბალახის ძირებით პირი ჩაეტკბარუნებინა, ხის გარშემო ტრიალი დაიწყო, ჭყვიტინით აიკლო იქაურობა. ბოლოს დაიღალა და მიყუჩდა. პაწაწა, უაზრო თვალები რაღაცას მიაშტერა. დრო და დრო მაინც წამოიღრუტუნებდა. ჩვენ ისე გავერთეთ თამაშში, ღორი სულ დაგვავიწყდა. მან კი ერთი საშინლად შესჭყვირა, გაიწია, თოკი გაწყვიტა და მოუსვა.

— არიქა, გაიქცა. არ გაუშვათ!.. — ვყვიროდით ერთხმად. ზოგი გვიმრაში გადახტა, ზოგი ჭინჭარსაც არ მოერიდა. მეტია, როგორც ყველაზე უფრო ყოჩაღი, წინ გადაუდგა თავგანწირულ ღორს. ისიც, ყვირილითა და ყიყინით დარეტიანებული, შიგ ფეხებში ეტაკა გოგოს და გადააყირავა.

— ეეე! უუუ!... — მოგვესმა და შევჩერდით. გაღმელი ბიჭები ბლის ხეზე ასულიყვნენ, ეშმაკებივით იღრიჯებოდნენ და დაგვცინოდნენ:

— მეღორეებო! ღორი გაგექცათ?!.. გააჩერეთ და დაგიჭერთ.

„ოდესმე ვიყრი თქვენს ჯავრს“, — გავიფიქრე და შინისაკენ გზას დავადექი.

— ნუ მიდიხარ, ვითამაშოთ რა, — დამიძახა ოლიჩკამ.

— მერე მოვალ, — ვუთხარი და გზა განვაგრძე. ბიჭებზე გაბრაზებულს ბოღმა მიტრიალებდა გულში. სახლში შევედი და ტახტზე დავემხე.

— მოხვედი? ხომ არაფერი გტკივა? — მკითხა ბიძიამ.

— როგორ მოხდა, რომ წევს, ხომ არაფერი სტკივა? — შეშფოთდა ბუცია.

— მშიერია, ბატონო, — დაასკვნა სუსანა ბებიამ.

— არც არაფერი სტკივა და არცა შია. აწყენინა ვიღაცამ, — კოტეზე უკეთ, აბა, ვინ იცოდა ჩემი ამბავი. — რაო, ღორმა, ყელამდე ვარ შენი პატივისცემითო? — გაეცინა კოტეს. — ეგ არაფერი, გულს ნუ გაიტეხ. ადამიანებშიც ბევრი შეგხვდება უმადური... შენ თუ ყველაფერზე გული ეგრე გაიხეთქე, ბოლოს უგულოდ დარჩები... ადე, წამო, ბოსტანში ჩავიდეთ. ვნახოთ ერთი, ვინ უფრო მეტ შუშა კიტრს იპოვის.

იმწამსვე წამოვიჭერი. კოტეზე ძალიან არავინ მიყვარდა და მისი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო.

მაგიდაზე ნივრით შემზადებული ერბო-კვერცხი და ცხელი მჭადი იდო.

— მოდი, ბებია, მოდი... იქნებ კვაწარახი გეამება, ა? — ჩამეკითხა ბებია.

მე და კოტე მადიანად გეახელით და ბოსტანში გადავედით.

— ჰიუგო მოგწონს? — მკითხა კოტემ.

— მომწონს, მაგრამ დამღალა!.. საქართველოშიც ხდებოდა ასეთი საშინელებები?

— ცოტა უარესებიც ხდებოდა. ერთხელ როსტომ ერისთავის შვილიშვილს თონეში განზრახ ჩაუგდეს ბურთი... ბავშვი თონესთან ბურთის ამოსაღებად მივიდა... თონეში ძლიერი ცეცხლი ვარვარებდა და ბიჭმა თვალი ვერ გაუსწორა ალს... ამ დროს უკანიდან რამდენიმე კაცი მივარდა, თონეში ჩაკიდეს და ასე ამოუწვეს თვალები ბატონიშვილს...

— უჰ!.. — თვალები ამეწვა და ცრემლები ხელით ამოვიწმინდე. — ჩვენთანაც დაწერონ რა, ასეთ ამბებზე.

— დაწერე მერე. სხვის მოთხრობებს რომ აგრძელებ, საკუთარი დაწერე. ისე, ასტრონომია რომ გიყვარს, მათემატიკაც კარგად უნდა ისწავლო.

— მათემატიკა არ მიყვარს!

— რას ქვია, არ გიყვარს! „არ მიყვარს“, „არ შემიძლია“, „არ მეკადრება“ ეგ სიტყვები მანჭიების მოგონილია. შენ ხომ ასეთი გოგო არა ხარ.

მანჭიები მეჯავრებოდნენ და ჩემი ნათქვამისა შემრცხვა.

კოტეს უკვე ათიოდე შუშა კიტრი ეგდო კალათაში, მე კი ჯერ ერთიც არ მომეწყვიტა, ისეთი ყურადღებით ვუსმენდი... ამ დროს ფოსტალიონი მოადგა ღობეს და კოტეს გადმოსძახა:

— ა, ბიძია, ცხელ-ცხელი გაზეთები და წერილი.

— დიდი მადლობა, ბატონო... — თქვა კოტემ და ალაგეზე ჩამოჯდა.

ვიცოდი, კოტეს ერთი თავისი თანაკურსელი მოსწონდა და თითქმის ყოველდღე სწერდნენ ერთმანეთს წერილებს. მეც ძალიან მომწონდა ის გოგონა და მიხაროდა, მისი წერილი რომ მოვიდოდა.

— როგორი ხავერდოვანი თვალები აქვს შენს ამხანაგს, — ვუთხარი ერთხელ კოტეს და გავწითლდი. ჩემმა ძმამ გაიცინა და „მეტიჩარაო“ — მითხრა. ამის შემდეგ ვერიდებოდი ნინოზე რაიმეს თქმას.

მეორე დღეს პარასკევი იყო.

ბიძია ჩემს ადგომამდე წასულიყო ბაზრობაზე. მე გზააბნეულივით დავდიოდი ოთახებში. კოტე წერდა და არ მინდოდა მისთვის ხელი შემეშალა. ვიცოდი, ტოლები სამწყესურში მელოდებოდნენ, მაგრამ მარტოკას არ მინდოდა წასვლა. ბიჭების დაცინვას ვერიდებოდი.

ჩვენი სახლის ნახევარში აფთიაქი იყო და ბიძიაც იქვე მუშაობდა პროვიზორად. აივანზე ხალხი ელოდებოდა აფთიაქის გაღებას.

— პროვიზორი მობრძანდება, — თქვა ბოლოს ვიღაცამ და მეც აივანზე გავედი. აღმართში დინჯად მოაბიჯებდა ბიძია. მის უკან ორი თხა მოაბაკუნებდა, ერთი — შავი ფერისა, მეორე — თეთრი.

ჭიშკარში გავეგებე, თხებმა ფეხები გაჩაჩხეს და შემომაცქერდნენ.

— ვისია? — ვიკითხე.

— შენთვის ვიყიდე. იარე და იარე ახლა სამწყესურში, — მიპასუხა ბიძიამ და გამიღიმა.

სიხარულისაგან გავშეშდი.

ბიძია ქუდის მოხდით მიესალმა ხალხს და აფთიაქი გააღო.

— მობრძანდით, — გამოსძახა იქ მყოფთ.

— დაისვენეთ, ბატონო, ჯერ ცხრა საათი არაა მაინც, — თქვა ვიღაცამ.

ბუცია და კოტეც გამოვიდნენ გარეთ.

— რას შეარქმევ ახლა შენს თხებს? — მკითხა კოტემ.

— გიშერას და თეთრას.

— რომელი უფრო მოგწონს?

— ორივე, — ვთქვი მე, თუმცა თეთრა უფრო მომწონდა.

— ერთი პირობით, მაგათი რძე უნდა დალიო, — მითხრა ბუციამ.

ის იყო მინდოდა მეთქვა — ხომ იცი, რძე არ მიყვარს-მეთქი, რომ კოტეს სიტყვები მომაგონდა და ენას კბილი დავაჭირე.

ეს დღე ჩემთვის უბედნიერესი დღე იყო. მე ახლა ნამდვილი მწყემსი ვიყავი — ორი თხითა და ერთი ძაღლით, რომელსაც უცნაური სახელი — დემონი ერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამწყესურში დემონიც მიგყავს? — მკითხა კოტემ ღიმილით.

— ბიჭებს დემონისა ძალიან ეშინიათ, — ვუთხარი.

— დემონის კი არა, შენი უნდა ეშინოდეთ! — გაიცინა კოტემ და თვალი ჩამიკრა.

სპარტანულად მზრდიდა ჩემი ძმა, კრივიც მასწავლა, მაგრამ ერთხელ თვითონვე გამიბრაზდა: ერთ პრანჭია გოგოს ცხვირიდან სისხლი ვადინე... არ გეგონოთ, უმიზეზოდ. ის პრანჭია ქალაქიდან იყო ჩამოსული და ჩემს საყვარელ ჭაპულოს „სოფლის გოგო“ დაუძახა...

ორლობეში თხები ისე მიაბაკუნებდნენ, თითქოს ამ მიდამოებში ყოფილიყვნენ გაზრდილნი. ოლიჩკას და მის ერთიბეწო დას კარავიდან თავი გამოეყოთ. მათი შავი ძროხა ყანის პირს მიდგომოდა და ბალახს მადიანად ძოვდა. ხანდახან სიმინდისკენაც გაუწევდა გული, მაგრამ ბაწარი უკან სწევდა და ისევ ბალახს უბრუნდებოდა. მე ჩემი თხები გრილოში გრძელი თოკით დავაბი და კარავში შევყავი თავი.



— რა ვითამაშოთ? — იკითხა ოლიჩკამ.

— კენჭობანა, — ჯიბეები ამოირეკა ჭაპულომ და მოხდენილად აისროლა თეთრი კენჭი ჰაერში.

— ჯერ ვჭამოთ, — აღიღინდა მეტია და ხილაბანდის ნასკვს შეხსნა დაუწყო.

— რა სვავი ჩაგიძვრა მუცელში, ახლა არ ჭამე? — გაეცინა ჭაპულოს.

— ჰაერზე მადა მოწივიდა! ისე, შენ არ გეკითხება არავინ, როდის ვჭამ მე.

კარგად ვიცოდი, ვისთვის იყო ეს საუზმე გამართული, მაგრამ ვითომ ვერ მივხვდი. საკმაოდ გემრიელად გეახელით ცივი მჭადი და ხელით დამტვრეული ყველი. დანა ყველს გემოს უფუჭებს, დამტვრეულს კი სულ სხვა ლაზათი და სუნი აქვს.

თხებს მალე დაებერათ ფერდები, ჩრდილში წამოწვნენ და არხეინად იცოხნებოდნენ. ჩვენი წაბლისფერი მწევარი — დემონი ტკბილ ძილს მისცემოდა, მაგრამ, ეტყობოდა, სიზმარშიაც ნადირობდა, ფეხებს ამოძრავებდ და წკავწკავებდა. უეცრად კენჭების წვიმა წამოვიდა ჩვენსკენ. მივიხედ-მოვიხედეთ. ხეებს ამოფარებული ბიჭები გვესროდნენ.

ეგრე არ უნდაო, — ვთქვით ჩვენ და, რაც რამ ხელში მოგვხვდა, დავუშინეთ და სულ კუდით ქვა ვასროლინეთ.

— ხომ მოხვალთ ეკლესიაზე... ვნახოთ ერთი, რა კინოს ნახავთ!.. — დაგვექადნა აწირანი შორიდან.

ყველას გაგვეცინა კიკნა ბიჭის მუქარაზე.

## ატირებული ირემი

ალიონზე ლეკვების წკავ-წკავი შემომესმა. პერანგისამარა შევვარდი ხულაში და თივაში ჩაწოლილ ნაიდას წავადექი თავზე. მივუახლოვდი თუ არა, შემომღრინა და ლეკვებს დაუტრიალდა. ბრმა, უმწეო, ვარდისფერცხვირებიანმა ლეკვებმა ერთი ამბავი ასტეხეს. მაშინვე გავეცალე და ბიძიას დავუწყე ძებნა. მაგრამ ბიძია ჭალაში სანადიროდ წასულიყო და დაფოთლილი ლეკვების გაჩენა ქვეყნად ველარავის ვამცნე...

მზე რომ შემაღლდა, უკვე გვარიანად ჩამოცხა. ჩიტებმა ჭიკჭიკი შესწყვიტეს. მარტო ჭრიჭინობელის ჭრიჭინილა ისმოდა. თხებს ჯიქნები დაეჭიკნათ და ადრე ჩამოვრეკეთ.

ჩვენი ჭიშკრის წინ მოვიყარეთ ყველამ თავი. საბანაოდ გაპარვას ვაპირებდით. მეტია ხტოდა, შიშველ ფეხისგულებზე ხელებს იტყაპუნებდა და ოინბაზობდა.

— ბურთი წამოიღე, — მითხრეს გოგოებმა.

— ჯანიკო! — დამიძახა ამ დროს ბუციამ.

გოგოებს გუნება გაუფუჭდათ.

— ბატონო! — ვუპასუხე.

— მოდი აქ, — თქვა და თვითონ გამოვიდა ჭიშკარში. ბუციას პარკი ფრთხილად ეჭირა ხელში. — იცი, ეს რა არის?

მივწვდი პარკს, მაგრამ სწრაფად გავუშვი ხელი. პარკში რაღაც ცოცხალი ტრიალებდა.

— ლეკვებია. წაიღე და წყალში გადაყარე, თორემ საცაა ბიძაშენი მოვა და ამ ექვსივე ლეკვის გაზრდასაც მოინდომებს, — ცხარობდა ბიცოლა.

— გადავყარო? წყალში? — არ ვიცი, რატომ გამეხარდა. პარკს ხელი დავავლე და ყველანი თავდაღმართზე დავეშვით.



— ფრთხილად, ღრმა წყალში არ შეხვიდეთ!.. — დაგვადევნა სიტყვა ბუციამ.

ერთი ყიჟინითა და წიოკით შევცვივდით ხიდქვეშ. შუა მდინარემდე სულ სირბილით მივედით. მდინარის ლივლივა წყალი სასიამოვნოდ ელამუნებოდა მზით გარუჯულ წვივებს.

მეტია წელამდე ჩამდგარიყო წყალში. მისი გაცრეცილი კაბა მდინარეს აეტივტივებინა და მედუზას დამსგავსებოდა. გადაპარსულ თავზე პეშვით წყალს ისხამდა და გაიძახოდა:

— უჰ, რა კარგია, უჰ, რა კარგია!.. — უცებ ჩემსკენ შემოტრიალდა და წყლის შემოსხმა დამიპირა, მაგრამ მე ავიცდინე და რაღაცის სათქმელად პირდაღებულ ჭაპულოს პირდაპირ ხახაში შეესხა წყალი. ჭაპულოს კინაღამ სული შეუგუბდა და მეტიას გამოუდგა. ჩვენს სიცილ-ხარხარზე, ხიდზე მიმავალი სოფლელები ჩერდებოდნენ და გვიყვიროდნენ: რა დაგემართათ, ბაღნებო, რაზე იცინით ასეო. მაგრამ ვის ეცალა მათთვის... მე ახლა გამახსენდა ჩემი „ცოცხალი“ პარკი, თასმა შევხსენი და ლეკვები წყალში გადავყარე.

საცოდავები!.. ქვებივით ჩაცვივდნენ, მაგრამ მალე ისევ ამოტივტივდნენ საზარელი წკავ-წკავით.

თვალთ დამიბნელდა, წავბარბაცდი, ხელები თავში ვიტაცე. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, გოგოებს შეეშინდათ და შემომეხვივნენ.

— დაიჭირეთ, ამოვიყვანოთ... მიშველეთ! — ვიყვირე და ლეკვებს დავედევნე.

ყველანი გადავარჩინეთ. საშინლად ცახცახებდნენ. მზეზე გავიყვანეთ, გახურებულ სილაზე დავსვით, მაგრამ საქმე მაინც ცუდად იყო...

— ნუ გეშინია, არ დაიხოცებიან, — მამშვიდებდნენ გოგოები.

— მოდი, წისქვილში წავიყვანოთ, — ვთქვი მე.

სველი ლეკვები გულზე მივიხუტეთ და ივანიკა ბიძიას მივადექით.

— ეს რა გიქნიათ, თქვე შეჩვენებულებო, ეს რა გიქნიათ! — გაგვიჯავრდა ივანიკა ბიძია. მაგრამ წისქვილში მაინც შეგვიძლვა და ხელად ააგიზგიზა ცეცხლი. კერიასთან თივა დააგო, ლეკვები ცეცხლს მიუფიცხა, მერე სკამლოგინიდან ქეჩა გადმოითრია და ზედ წაახურა. ლეკვები ისევ წკავწკავებდნენ.

— შიათ უბედურებს, — თქვა ივანიკამ.

— შიათ? — ვთქვი მე და მაშინვე გავიქეცი.

ეზოში ძუძუებდასიებული ნაიდა გამწარებული დაძუნძულებდა — ლეკვებს დაეძებდა.

— ნაიდა!.. — ჩუმად დავუძახე, მაშინვე ჩემსკენ გამოჰქანდა და აშეკრა. საყელურში ჩავავლე ხელი, ჭიშკარში გავედი და გავიქეცი. წისქვილს მივუახლოვდი თუ არა, ხელიდან გამექცა და შეიჭრა შიგ.

— რაა ეს, გოგო, რას არ მოიფიქრებს შენი ტვინი! — გაეცინა ივანიკა ბიძიას.

ნაიდამ ისეთი თვალებით ამომხედა, როცა ლეკვები ძუძუს დაეწაფნენ. ნამდვილად მადლობა მითხრა... მე კი, აბა, რა მადლობის ღირსი ვიყავი! უხერხულობისაგან სარეკელას დავუწყე ცქერა...

ხელად დაებერათ მუცლები ლეკვებს, დედის სითბო ეამათ და ჩაეძინათ. ჩვენც შეგვაშრა სველი კაბები და თმები. ისე ამოვიარეთ აღმართი, ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია.

— მკვდრები დაიბადნენ და გადავყარე, — მომესმა ბუციას ხმა, ეზოში რომ შევედი.

აივანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მე შევდექი და გაოცებისაგან ხმა ვერ ამოვიღე.

— მოდი, რა გაჩვენო! — დამიძახა ბიძიამ, რომელსაც ტანსაცმელი ჯერ კიდევ არ გამოეცვალა.

აივანზე უზარმაზარი ირემი ეგდო.

— ვაიმე! — ვთქვი და ირმის წინ ჩავიჩოქე. — ცოცხალია? სად დაიჭირე? რატომ ესროლე?.. რა ლამაზია!

— არა, ბიძია, არ მისვრია. თვითონ მოუტეხია ფეხი.

ირემს ძალიან ლამაზი, დიდრონი, წყლიანი თვალები ჰქონდა. თითქოს სადღაც მენახა ის თვალები, თითქოს ვიღაც ჩემი მახლობელის თვალებს მიაგავდნენ ისინი.

— მე მიყურებს? — ვკითხე კოტეს.

— გეჩვენება... კარგი, გამოდი, ნუღარ უყურებ, — დამიყვავა ძმამ და ფეხზე წამომაყენა.

ოთახში შევვარდი და სახვევები გამოვიტანე. ბიძიამ გაიღიმა და სახვევები გამომართვა. მერე ანდროს და კოტეს დაუძახა, მომეხმარეთო. თვითონ ირემთან ჩაიჩოქა და მოტეხილი ფეხი გაუსწორა. ირემმა თავი გაიქნია, შეზმუვლა, თვალები გადაატრიალა და დახუჭა. ყელზე მოვეხვიე და რაღაც სისველე ვიგრძენი ყვრიმალებთან...

— ეს რა არის?! — სახტად დავრჩი მე და კოტე ირმისაკენ მოვახედე.

ირემი ტიროდა...

ფეხზე წამოვიჭერი. მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ალბათ ცუდი ფერიც დამედო, ტირილს ძლივს ვიკავებდი, მაგრამ სწორედ ამ დროს ლუკა ბაბუამ ქარვის კრიალოსანით ცხვირზე მომილიტინა. გამოვერკვიე და ძალად გავუღიმე.

— გამოდი, ბაბუა, აქეთ. რა მოგივიდა... — თვითონაც გატეხილი ხმით მითხრა ბაბუამ.

ამ დროს ჭიშკარი წყნარად გაიღო — ნაიდა შემოძვრა. პირით ჭრელი ლეკვი ეჭირა, სიხარულისაგან კინაღამ შევყვირე.

ის იყო ბუციამ სადილად დაგვიძახა, რომ ნაიდამ ბოლო ლეკვიც შემოარბენინა ეზოში. მალე ისევ გაისმა მოშიებული ლეკვების წკავ-წკავი. ბუცია შეშფოთდა. ეტყობოდა, მიხვდა ჩემს ახალ ოინს. კოტემ თვალი ჩამიკრა. გამეღიმა, მაგრამ ბუციამ ისეთი თვალით გადმომხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სიცილის მადა დამეკარგა. ბიძიამ ჭამას თავი დაანება და გაოცებით დაგვიწყო ცქერა. ახლა კი შეუძლებელი იყო სიცილის შეკავება და ცოტა დამაკლდა, კინაღამ დავიხრჩვი...

აივანზე საშინელი ბრახუნი გაისმა. გავვარდი და რას ვხედავ! — ირემი წამომდგარა და აქეთ-იქით აცეცებს დაფეთებულ თვალებს.

— კოტე! გრიგოლ ბიძია! — ავყვირდი, მაგრამ უკვე გვიან იყო... ირემს თვალებში რაღაც სხივმა გაუელვა და ელვის სისწრაფით გადაევლო აივანს.

გადაევლო ღობეს...

ვიდექით სამივენი და გავცქეროდით თავისუფალ ირემს... მაგრამ იგი მალე მოგვეფარა თვალს და ისღა მოასწრო ბიძიამ, ძაღლებს უბრძანა, შეჩერდითო...

წავიდა ჩვენი ირემი.

— გზა მშვიდობისა! — მიაძახა კოტემ, ხელი გადამხვია და ოთახში შემიყვანა.

## გუინპლენი

როგორც იქნა ჩამოზიდეს ურმით კინოლენტების მრგვალი ყუთები, დინამო და ეკრანი. კინო ეკლესიასთან უნდა გაეშვათ.

დადგა ჩვენი დღესასწაული. ახლა კი ვიყრიდით გოგოები გაღმელი ბიჭების ჯავრს.

— ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა! — იძახდნენ გახარებული ქაპულო და ნეტია.

ეკლესია სოფლის ბოლოს, მაღლობზე იდგა. კინოს სანახავად ბლომად ხალხმა მოიყარა თავი.

— დინამოს ვინ დაატრიალებს? — დაიძახა ხაკისფერ გიმნასტურაში გამოწყობილმა კაცმა. ბიჭები გარს შემოეხვივნენ. — ერთი „რუჩკა“ აქვს ამ უპატრონოს და ყველას რანაირად გერგებათ! — აყვირდა მექანიკოსი.

— რა გაყვირებს, ბატონო, ყრუები ხომ არ გგონივართ. მომეცი აქ, ჯერ მე დავატრიალებ... დადექით „ოჩერედში“. თუთ! თქვე... — გაყარა ვასილა გადარეულმა ბიჭები და ამაყად დაატრიალა დინამოს სახელური.

აზუზუნდა დინამო და კინოც დაიწყო, მაგრამ, როცა ვასილა სურათის ყურებით გაერთობოდა, თავისი საქმე ავიწყდებოდა, სინათლე კლებულობდა და ხალხი ყვიროდა. ისმოდა ვასილას მისამართით „ლოცვა-კურთხევა“.

გაღმელი ბიჭები ბალახში ჩამსხდარიყვნენ და თავის რიგს ელოდნენ. დროდადრო, ბოლმისაგან, ხან რას წამოიძახებდნენ და ხან რას.

ერთხელ ბოსტანში ხოკერა კვახს წავაწყდი და მას შემდეგ ერთი აზრი გამიჩნდა თავში. ყოველ დღე გავიპარებოდი, ჩამოვჯდებოდი ჯირკზე და ხოკერასაგან გუინპლენს ვაკეთებდი. (ხომ გახსოვთ, გუინპლენი — ჰიუგოს რომანის — „კაცი, რომელიც იცინის“ მთავარი გმირი). ამ ხოკერათი შეიძლება კაი ოინი მოვუწყოთ ბიჭებს. მთავარი იყო, ისინი ლუკა ბაბუას ღელემდე მიგვეტყუებინა.

დამთავრდა თუ არა კინო, მე წამოვხტი და ღელისაკენ გამოვიქეცი. იქ, თხმელის ძირში დამალული ხოკერა ხელის ფათურით მოვძებნე. ჯიბეში ასანთი მზად მქონდა. ხოკერაში ჩამაგრებული პატარა სანთელი ავანთე... ჩემმა ნახელავმა ლამის თვითონ მე შემაშინა.

ხოკერა კვახისაგან გუინპლენის გაკეთებას კარგა ხანი მოვუნდი. ხოკერა ჯერ ამოვღრუტნე და ამოვფხიკე, მერე მოგრძო თვალები ამოვჭერი, ცხვირის ნესტოები ამოვუხვრიტე, უზარმაზარი, კბილებდაკრეჭილი პირი გავუკეთე და შიგ სანთელი ჩავამაგრე; ხოკერას ამოჭრილ ადგილებიდან სინათლე გამოდიოდა. სიო სანთლის ალს არხევდა და ისე ჩანდა, თითქოს ცეცხლოვან თვალებს აბრიალებდა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა.

ჩვენდა საბედნიეროდ, მთვარე ჩავიდა და სოფლის გზაზე საშინელი სიბნელე ჩამოწვა. კინოდან მომავალი ხალხის ფეხის ხმა ახლოვდებოდა. როგორც იქნა მოვასწარი მოხერხებულ ადგილას გუინპლენის ჩადგმა და დამალვა.

მოულოდნელად, გზაზე ერთი გოგოსა და რამდენიმე ბიჭის სილუეტი გამოჩნდა. გოგო ნეტია იყო, ბიჭებს რაღაცას ექაქანებოდა.

ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც მოვილაპარაკეთ. უეცრად ლაპარაკი შეწყდა. სიჩუმე სულ ერთ წუთს გაგრძელდა, მერე ბიჭები ერთმანეთს მიაწყდნენ და გაისმა სასოწარკვეთილი კივილი. კივილს ბიჭების ღრიალი მოჰყვა. ისეთი ამბავი დატრიალდა, შევწუხდი კიდეც, მაგრამ უკვე გვიან იყო... ბავშვების წიოკზე უფროსებიც ერთი კივილ-ყვირილით მორბოდნენ.

სადღაც ეზოში თოფი გავარდა. მერე გავიგონე:

— ხალხნო, ნუ გეშინიათ, მოვდივარ!

ხალხმა უკვე თავი მოიყარა, წიოკობდნენ, მაგრამ გუინპლენთან მისვლას ვერ ბედავდნენ.

— რა იყო, რა დაგემართათ! — მოვარდა ბიძია.

— ეშმაკი, ბატონო, ეშმაკი! — კიოდნენ ქალები.

დავაპირე სამალავიდან გამოსვლა და, ამ დროს კოტეც მოვიდა. გუინპლენის თავი რომ დაინახა, დაიძახა:

— ჯანიკო!

გაბრაზებული არ ჩანდა, მაგრამ მაინც შევყოყმანდი.

— ჯანიკო! — ისევ დაიძახა და მეც გამოვჩნდი.

მივედი ხოკერასთან, სანთელი ჩავაქრე და ძმის გვერდით დავდექი.

არ ვიცი, რამდენ ხანს იდგა სიჩუმე. მერე ვიღაცამ გაიცინა და ისეთი ხარხარი ატყდა, მთებს გუგუნი გაჰქონდა.

ხომ გითხარით — ჩემს ლამაზ სოფელში კეთილი ხალხი ცხოვრობს-მეთქი. ისევ ამანთებინეს ხოკერაში სანთელი და გვიანობამდე ისმოდა სიცილი და მხიარული ლაპარაკი.

ამის შემდეგ გოგოებს ბიჭები ვერაფერს გვიბედავდნენ.

ხომ გვარიანად დავუფრთხეთ ანგელოსები?!



ეროვნული

სიმონ შამფრიანი

ფოტო
ანზორ ჩიგოგიძისა



# ყოჩაღ, სახელოვანო პიონერებო!

მხარმარჯვნივ — ტყით შემოსილი გორები; მარცხნივ, ორიოდე ნაბიჯზე — ქვიშისფრად ატალღებული რიონი.. საკმაოდ მაღალ გორასა და მდინარეს შუა დაცემულ ვაკეზე, ტანწერწეტა ხეების ტევრიდან, ვეებერთელა, ორსართულიანი შენობა იმზირება.

...სულ რაღაც ნახევარი საათის წინ სამტრედიის კომკავშირის რაიკომში ვიყავით. ჩვენი სტუმრობის მიზანი რომ გაიგო, რაიკომის პირველი მდივანი ბორის ფოცხვერაშვილი ერთხანს ჩაფიქრდა.

— აბა, რომელი ერთი დავასახელო. ცოტა როდი გვყავს ჩვენს რაიონში მოწინავე პიონერული ორგანიზაციები, ერთმანეთს რომ ტოლს არ უდებენ სწავლაში და შრომაში, სასარგებლო საქმიანობაში. აი, თუნდაც იანეთის, საჯავახოს, რკინიგზის მე-14... — ბორისმა კიდევ რამდენიმე საშუალო სკოლის პიონერული ორგანიზაცია ჩამოთვალა.

ბოლოს, არჩევანი საჯავახოელებზე შევაჩერეთ.

და აი, ჩვენ უკვე საჯავახოს საშუალო სკოლის ეზოში ვართ.

დიდი შესვენება დაწყებულა და ვრცელი ეზო სავსეა მოჟრიამულე ბავშვებით. ზოგიერთი ფანჩატურში ზის და წიგნს ჩაჰკირკიტებს; ბიჭების ერთი გუნდი ბურთს დასდევს. ეზოს კიდეში ათიოდე ცეროდენა დამსხდარა, დაძაბული უსმენენ შედარებით მოზრდილ გოგონას, რომელსაც ფერადებიანი წიგნი თუ ჟურნალი უჭირავს ხელში.

ჭადრის ძირას შეჯგუფებულ გოგონებს ერთი ქალიშვილი გამოეყო, ჩვენსკენ გამოემართა და თავაზიანად მოგვესალმა.

ვეცნობით ერთმანეთს. ქალიშვილი — ფოთოლა გვიჩია აღმოჩნდა, უფროსი პიონერხელმძღვანელი. იგი პიონერთა ოთახში გვიწვევს.

პიონერთა ოთახშიც ბევრი წითელყელსახვევიანია. გრძელი მაგიდის ბოლოს ერთი გოგონა რვეულის ფურცელზე რაღაცას გატაცებით წერს. რამდენიმე თანატოლი შემოხვევია რკალად და შიგადაშიგ კარნახობენ. ისე არიან თავიანთი საქმით გატაცებული, ჩვენი შემოსვლა არც გაუგიათ.

— ეს ციცინო თავაძეა, მეექვსეკლასელი, — გვანიშნებს ფოთოლა წერით გართულ გოგონაზე, — მიწერ-მოწერით დაუმეგობრდა ლიტველ სოფა გიზუდინოვას, დობლეს საშუალო სკოლის მოსწავლეს. ეტყობა, ახლაც მას სწერს წერილს. საერთოდ კი, ჩვენს პიონერებს დიდი ხანია გაცხოველებული მიმოწერა აქვთ საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხის თანატოლებთან. განსაკუთრებით დაუმეგობრდნენ ულიანოვსკის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებს, აგრეთვე ტაჯიკ პიონერებს.

ფოთოლამ კარადის კარი გამოაღო. ერთ-ერთი უჯრა პირთამდეა სავსე სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან გამოგზავნილი ბარათებითა და სამახსოვრო საჩუქრებით.

— ჩვენი პიონერებიც არ რჩებიან ვალში, — განაგრძობს ფოთოლა, —



ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეულ მეგობრებს სისტემატურად უგზავნიან საქართველოს ხედების ფოტოსურათებს, ნაქარგებს, ქართულ ხილს...

პიონერთა ოთახში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვეება სტენდი. პატარების ხელებს სიყვარულით მოურთავთ დიდი ბელადის კუთხე ფოტოსურათებითა და ნახატებით, რომლებიც მოგვითხრობენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

— ამ კუთხეს თანდათან ვაფართოებთ, — ამბობს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ნათელა გაგუა,— ჟურნალებისა და გაზეთების ყოველ ახალ ნომერში გაფაციცებით ვეძებთ ჩვენთვის უცნობ ფოტოებსა და ნახატებს ლენინის ცხოვრებიდან. გვინდა, აგრეთვე, ამ ოთახის ერთი კუთხე დავუთმოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას. ვეცდებით თვალსაჩინოდ გამოვსახოთ ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ოთახში თვალციმციმა გოგონა შემოცქრიალდა. ხელში უჭირავს ფერადებიანი წიგნი „ხუთკუნჭულა", ვიცანით: ეს იყო, ცეროდენებს რომ რაღაცას უკითხავდა წეღან. გამოველაპარაკეთ.

იამზე შენგელია მეხუთეკლასელი ყოფილა, ხუთოსანი, ოქტომბრელთა რგოლის ხელმძღვანელი. შესვენებაზე თავის რგოლელებს მიაშურებს ხოლმე. უკითხავს ჟურნალ „დილას" ყოველ ახალ ნომერს, ხალხურ ზღაპრებს სერიიდან „იყო და არა იყო რა", ერთმანეთს აჯიბრებს, ვინ გამოიცნობს გამოცანებს ყველაზე ადრე; უხსნის საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონებს.

— უკვე მოვამზადე ჩემი რგოლი პიონერთა რიგებში მისაღებად. ისინი კარგი პიონერები იქნებიან, — ამბობს იამზე და ჩვენც გვჯერა მისი.

იამზეს მისივე კბილა გოგონა ამოუდგა გვერდით. ისიც ოქტომბრელთა რგოლის ხელმძღვანელი აღმოჩნდა — მაყვალა ჩაჩუა. იამზესა და მაყვალს რგოლებს შორის შეჯიბრება ყოფილა გამართული უკეთ სწავლასა და სანიმუშო ყოფაქცევაში. მაყვალა უანგარო ამხანაგიცაა თურმე — ყოველ საღამოს მიდის თანაკლასელ ლილი ვაშაყმაძესას და რუსული ენის დაძლევაში ეხმარება.

ამ საუბარში ზარიც დაირეკა და სულ მალე ეზოსა და დერეფნებში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა დირექტორთან მიგვიყვანა.

სკოლის დირექტორი ლონგინოზ გეგეშიძე გატაცებით გვიყვება პიონერული კლასების წარმატებებზე.

— ჩვენი სკოლის დევიზია — „არც ერთი ოროსანი!" იმედი გვაქვს, რომ სასწავლო წლის ბოლოსათვის კიდეც მივაღწევთ ამას. გვყავს გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც ენერგიას არ იშურებენ სწავლის ხარისხის ასამაღლებლად. სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგაც რჩებიან და, საგნის მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საფუძვლიანად ითვისებენ გავლილ მასალას. ხოლო შრომაში თუ რა ყოჩაღები არიან ჩვენი ბავშვები, ეს თქვენი თვალით სჯობია ნახოთ, — იღიმება ლონგინოზ ილიას ძე და, პირველ რიგში, მხარეთმცოდნეობის კაბინეტისაკენ მივყავართ.



იცნობდეთ: ეს გოგონა — გულქან გოგიტაძეა, დაუცხრომელი ნორჩი ნატურალისტი.

საკმაოდ მოზრდილი ოთახი ნამდვილ მუზეუმს მოგაგონებთ. კოლხური მონეტები, ნაირ-ნაირი კერამიკული ჭურჭელი, ძველისძველი საომარი თუ შრომის იარაღები, ხის ნაკეთობანი, ბრინჯაოს სამკაულები... ბევრი მათგანი ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეს განეკუთვნება. რამდენიმე ამ ნიმუშთაგანი ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა ამასწინანდელ მსოფლიო კონგრესზეც ყოფილა წარმოდგენილი.

— რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გვთხოვა ზოგიერთი ექსპონატი მისთვის დაგვეთმო. მაგრამ ჩვენ ვერცერთს ვერ შეველიეთ.



რამდენიმე წელიც და... ეს მოსწავლეები ცხოვრების დიდ გზაზე გავლენ, მათი ხელით დარგული ხეხილი კი დიდხანს, დიდხანს იშრიალებს მშობლიური სკოლის კარმიდამოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნორჩ მხატვართა წრის ხელმძღვანელი ბადრი გაგუა სისტემატურად ამეცადინებს ფერწერის მოყვარულ ამხანაგებს.

ესენი ხომ ჩვენი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა აღმოაჩინეს სოფელ ნიმორზღვის დარანის სამარხებში. უხარიათ ბავშვებს, როცა აქ შემოდიან და თავიანთი ხელით მიწის სიღრმიდან ამომზეურებულ ნივთებს ამ ოთახში გამოფენილს ხედავენ. თანაც ყველაფერი ეს — საუკეთესო თვალსაჩინო მასალაა ძველი ქართული კულტურის გასაცნობად და შესასწავლად.

ვეთანხმებით დირექტორის სიტყვებს. ვტოვებთ მხარეთმცოდნეობის კაბინეტს და ეზოში ჩავდივართ.

სკოლის შენობის ერთ კედელთან ხმარებიდან გამოსული რკინის საწოლების, ქვაბების, ტაშტების, ღუმელებისა და სხვათა გორა დავინახეთ.

— ჩვენმა პიონერებმა ამას წინათ მრავალი ასეული კილოგრამი ლითონის ჯართი ჩააბარეს სახელმწიფოს. არც ახლა ცხრებიან — მოაქვთ და მოაქვთ ყოველდღე, — გვიამბობს უფროსი პიონერხელმძღვანელი.

გზად ფიზკულტურის დარბაზს ჩავუარეთ. ფანჯრიდან მოჩანს, რა გულმოდგინედ ვარჯიშობენ მოსწავლეები ორძელზე, რგოლებზე, მიცოცავენ ბაგირზე, თოკის კიბეზე...

ეზოს ერთ მხარეს, ღობის გადაღმა უამრავ თეთრ ქათამს „დაეთოვლა" იქაურობა. თავგამოდებით ძიძგილაობდნენ ყვინჩილები, დარბაისლურად დააბიჯებდნენ ბატები...

— აქ კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაა? — ვიკითხეთ.

— არა, ჩვენი სკოლისაა, — მოგვიგეს. — ეს ფრინველები პიონერებმა გამოზარდეს. ნორჩი ნატურალისტები გულქან გოგიტაძე, ციცინო თავაძე, ნელი წერომე, მედეა გაგუა და სხვები გამოცდილი მეფრინველეებივით უვლიან ამათ. აგერ, ისინიც, — შორიახლო მობალახე რამდენიმე ძროხა დაგვანახეს, — ჩვენი სკოლისაა, ჩვენი ბავშვების ხელით არიან გაზრდილნი. მათვე აუშენეს გომური და ზამთრის საკვებსაც თვითონ უმზადებენ. ამავე დროს, კოლმეურნეობის ფერმასაც აკითხავენ და პირუტყვის მომვლელებს ეხმარებიან. კოლმეურნენიც დიდად უმადლიან.

დავდივართ სკოლის ვრცელ ნაკვეთში. ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია. კოხტად გამოკვეთილ კვლებში რაგინდარა ბოსტნეული ხასხასებს, ცოტა იქით — ხეხილის და ვაზის შესანიშნავად მოვლილი მწკრივებია. ყველაფერი ეს—მოსწავლეების მიერაა დარგულ[illegible] გახარებული.

ყოველ 30 ოქტომბერს სკოლაში იმართება „მოსავლის ზეიმი", რომელსაც ნორჩების ხელით მოწეული

მხარეთმცოდნეობის კაბინეტის ერთ-ერთი კუთხე.

სკოლასთან ინტერნატიც არის. აქ შორი სოფლებიდან მოსულები ცხოვრობენ. ინტერნატელები — ნათელა ჭკუასელი და მზევინარ ბოლქვაძე მყუაითად მეცადინეობენ მყუდრო ოთახში.



ნორჩმა ნატურალისტებმა მელაც გამოზარდეს. ბედის ირონიით, სკოლის მეფრინველეობის ფერმა სწორედ მის ცხვირწინაა. ეჰ, რა უყოს გალიის ბადეს, თორემ...



ეროვნული ბიბლიოთეკა





ქარვისფერი ყურძნის მტევნები, დათაფლული მსხლები, ლოყაწითელი ვაშლები, ნაირ-ნაირი ბოსტნეული ამშვენებს. მღერიან, ცეკვავენ, ხარობენ შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები.

უკან რომ გამოვბრუნდით, გაკვეთილი უკვე გამოსული იყო. პიონერთა ოთახი ისევ სავსე დაგვხვდა წითელყელსახვევიანებით. ხალისით ჩაებნენ ჩვენთან საუბარში.

აქ დიდად არიან დაინტერესებული — „დიადი გზის ეტაპების" საფუძვლიანი ცოდნით. თითოეულ რაზმში არის რგოლები: წითელლაშქრელები, ნორჩი კომუნარები, ნორჩი ბუდიონელები. ეცნობიან თავიანთი სოფლების ძველ რევოლუციონერთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ ცოტა ხნის წინ გულითადი შეხვედრა მოუწყვეს თანასოფლელ, მხცოვან ბოლშევიკებს გიორგი ცინცაძეს და კარპეზ თარგამაძეს. ბევრი საინტერესო რამ უამბეს ძველმა რევოლუციონერებმა პიონერებს.

ხშირად აწყობენ ლაშქრობებს რაიონის ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილების, ქართული კულტურის ძეგლთა დასათვალიერებლად და შესასწავლად. ამ ბოლო დღეებში, საჯავახოდან ექვს კილომეტრზე მდებარე ქორეის უბანს ეწვივნენ. დაინტერესდნენ ქორეის ტაძრის ისტორიით. გამოირკვა, რომ ეს ტაძარი აშენებული ყოფილა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე შავბნელ ხანაში — XIV საუკუნეში. ჩაწერეს რამდენიმე თქმულება, თუ საიდან წარმოსდგება სახელწოდება „ქორეის უბანი".

საჯავახოს საშუალო სკოლა კვირადღეებშიაც ისევე სიცოცხლით სავსე ყოფილა, როგორც დანარჩენ ექვს დღეს. მოსწავლეთა ნაწილი პიონერთა ოთახში იყრის თავს—ძირითადად პიონერული რაზმეულის შტაბი. ზოგი სკოლის ბაღ-ბოსტანში მუშაობს; ოქტომბრელთა ჯგუფების ხელმძღვანელები პატარებს მხიარულ თამაშობებს ასწავლიან. იმართება შეჯიბრი ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში. . . სამხრობისჟამს კი ყველანი შინისაკენ მიეშურებიან, რომ ორშაბათ დილისათვის ბეჯითად დაამზადონ გაკვეთილები.

. . .ვემშვიდობებით ჩვენს ახალ, ნორჩ მეგობრებს, მათს აღმზრდელ მასწავლებლებს და გულში ვამბობთ: ყოჩაღ, საჯავახოელო პიონერებო!

ვ. ი. ლენინი: უწიგნოდ ძნელია.

მ. გორკი: როდესაც ვკითხულობ პატიოსან, გაბედულ წიგნებს, ასე მგონია — სიმართლის მხურვალე მზე ამოდის.

კ. მარქსი: ისინი (წიგნები) ჩემი მონები არიან და უნდა მემსახურონ ისე, როგორც მე მინდა.

ედ. როდი: ადამიანის ყველაზე სასარგებლო, ყველაზე გულწრფელი, ყველაზე უანგარო, ყველაზე ერთგული მეგობარი და დამრიგებელი არის კარგი წიგნი.

სენეკა: თუ რაიმეს წაიკითხავ, წაკითხულიდან შეითვისე მთავარი აზრი.

ალფონს X ასტრონომი: წიგნები ჩვენ გველაპარაკებიან უპირფეროდ და უშიშრად.

ფრ. ფენელონი: ჩემს ფერხთით, ნაცვლად ჩემი წიგნებისა, მსოფლიოს ყველა სამეფოს გვირგვინები რომ დააწყონ, მე ხელს ვკრავდი ყველა გვირგვინს.

ა. ფრანსი: ...საუკეთესო წიგნები ისინია, რომლებიც ყველაზე მეტ საზრდოს იძლევიან აზროვნებისათვის, და თანაც—სულ სხვადასხვა თემებზე.

მ. შოლოხოვი: გიყვარდეთ წიგნი სულითა და გულით! ის თქვენი არა მარტო საუკეთესო მეგობარია, არამედ ბოლომდე ერთგული თანამგზავრიც!

ი. ჭავჭავაძე: ...უწიგნო თვალთახედვის ისარი მოკლეა...

ვოლტერი: წიგნი ემსგავსება ზღვას, რომლის სიღრმიდან მყვინთავებს ძვირფასი მარგალიტები ამოაქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკიპაჟი „პიონერი"



ქეთევან ჭილაშვილი

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

## სურათი მეორე

მამუკას სახლი. ეკიპაჟელები ლობეში იჭვრიტებიან. ეზოში მამუკას დედა ფუსფუსებს. შემოდის პავლე.

**პავლე** — (ნასვამია) დედაკაცო, შინა ხარ?

**ელენე** — უი, მომიკვდეს თავი, ისევ ნასვამი მოვიდა! შინა ვარ, ბროწეულაში საბოსტნეებს ვბარავთ და შესვენებაზე ჩამოვირბინე. სადა ყოფილხარ?

**პავლე** — ჯანდაბაში. (ქუდს მოიხდის და ხელებში ჭმუჭნის)

**ელენე** — აკი თავმჯდომარესთან უნდა მისულიყავი?

**პავლე** — თავმჯდომარეს მე აღარ ვუნდივარ... ძუძუმწოვარა ბიჭების იმედი უფრო აქვს.

**ელენე** — არჩილს ტყუილად ემდური. ძალიანაც ხათრი აქვს შენი. რაც მოხდა, შენი ბრალია.

**პავლე** — (შეჰყვირებს) რა ჩემი ბრალია! სანამ ბოსტანი არ დამაბარინე, ყურები გამომიჭედე საყვედურებით. ახლა ჩემი ბრალია?

**ელენე** — მე განა ის გითხარი, ტრაქტორი მიატოვე და შინ იმუშავე-მეთქი.

**პავლე** — კარგი, გაჩუმდი, ისედაც ბოლმა მახრჩობს...

**ელენე** — დარდით საქმეს ვერ უშველი. ადექი, მიდი თავმჯდომარესთან, არა მგონია, ამდენი წლის ამაგი წყალში გადაგიყაროს...

**პავლე** — რას შემომიჩნდი? ჩემს ხელში გაზრდილ ბალღს ბოდიში მოვუხადო?! (მისწვდება ხის ტოტს და მოამტვრევს).

**ელენე** — უი, მომიკვდეს თავი, მამუკას ნამყენია, გულს გადაიბრუნებს. (მივა, შეკრავს ნაჭრით).

**პავლე** — სადა ბრძანდება ვაჟბატონი?

**ელენე** — მინდორში. ეს ერთი კვირაა, სკოლაში არ დადის, ტრაქტორისტებს ეხმარება.

**პავლე** — იმას არ უყურებთ, იმ ზარმაცსა და უქნარას? აქ მოვიდეს!

**ელენე** — რად ჯავრობ? ერიდება, შენ რომ ასე მოგიხდა საქმე.

**პავლე** — სულ პირს ნუ სწმინდავ მაგ ლაწირაკს მაგასა. წიგნის სწავლა აღარ უნდა და მე მომიმიზეზა? ერთი ხელში ჩავიგდო!..

**ელენე** — (შეწუხებული იყურება გზისაკენ) წამო, პავლე, მოისვენე. (ლობესთან მიყუჟული ეკიპაჟელები დაღონებულები შესცქერიან)

**გივი** — აბა, რა გაამხიარულებს მამუკას?

**თინა** — მინდორში უვლია სამუშაოდ.

**დარეჯანი** — ძია პავლე სულ ასე ნასვამი მოდის...

**გელა** — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მამუკას უნდა დავეხმაროთ.

**თინა** — იქნებ ჯობია, თვითონ ძია პავლეს...

**სანდრო** — აბა, ჩვენ რა შეგვიძლია? უფროს ადამიანს ჭკუის სწავლებას ხომ არ დავუწყებთ!

**მარინე** — ბებია პარასკევას მოვეთათბიროთ!

**დარეჯანი** — კარგი აზრია.

**სანდრო** — აგერ, მამუკა მოდის...

**თინა** — ნუ დავენახვებით, არ ეწყინოს.

**გივი** — საწყენი რა არის! პირიქით, დაწვრილებით გამოვკითხოთ ყველაფერი.

**გელა** — აბა რა... მარტო ნიშნებზე ხომ არ უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. (ჭიშკარს მოადგება მაზუთში ამოთხუპნული მამუკა)



* დასასრული. იხ. „პიონერი" № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამუკა** — გამარჯობათ! (უხერხულად შეჩერდება)

**ყველანი** — გაგიმარჯოს, მამუკა!

**სანდრო** — ნამდვილი ტრაქტორისტი ხარ!

**რუსუდანი** — როგორ უხდება ტრაქტორისტის სპეცტანისამოსი!

**მამუკა** — დამცინით?

**თინა** — რას ამბობ, მამუკა, ჩვენ ვამაყობთ შენით!

**მამუკა** — საამაყო რა გავაკეთე, სკოლაში არ დავდივარ.

**მარინე** — სამაგიეროდ, ტრაქტორისტებს ეხმარები თურმე.

**მამუკა** — სამ დღეს კიდევ ვერ მოვალ სკოლაში.' ერთი ტრაქტორი გაფუჭდა. საჩქაროდ უნდა შეკეთდეს.

**გივი** — მამას ეხმარები არა? (გოგონები უჩუმრად გაჰკრავენ მუჯლუგუნს)

**მამუკა** — ვითომ არ იცით, მამა რომ მოხსნა თავმჯდომარემ...

**თინა** — არ ვიცოდით, შემთხვევით გავიგეთ.

**გელა** — ალბათ იმიტომ ეტანება ძია პავლე ღვინოს არა?
(მამუკა თავს უქნევს. უხალისოდ შედის ეზოში)

**თინა** — ცოდონი არიან.

**მარინე** — კისკისელებო, რას იტყვით, იქნებ თავმჯდომარესთან მივიდეთ?

**გივი** — ოჰო, შენს დანახვაზე ფეხზე წამოხტება!

**რუსუდანი** — დიდედა პარასკევა რომ მივუგზავნოთ?

**დარეჯანი** — კარგი იქნება. დიდედა პარასკევა ძველი კოლმეურნეა, ყველას დიდი ხათრი აქვს მისი.

## სურათი მესამე

პარასკევას საბძელი. ეკიპაჟელები დაღონებულნი სხედან, შემოდის პარასკევა. ყველანი ფეხზე წამოხტებიან.

**თინა** — ეკიპაჟო, „კისკისა", სწორდი! (ყველანი ჩამწკრივდებიან) სალამი ეკიპაჟ „კისკისას" საპატიო კაპიტანს!

**ეკიპაჟელები** — სალამი, სალამი, დიდედა პარასკევა!

**პარასკევა** — გაგიმარჯოთ, შვილებო! რაღაც დაღონებულები მეჩვენებით.

**სანდრო** — ეკიპაჟი ანდრომედას ნისლეულში გაეხვია.

**პარასკევა** — (ყურთან მოსახვევს გადაიწევს) თესლეული გაკლიათ? ანდრომ უარი გითხრათ?

**გელა** — ანდრომედას ნისლეული— ცის ჩრდილოეთით მდებარე თანავარსკვლავედია...

**პარასკევა** — კეთილი და პატიოსანი. მერე რატომ? კისკისი და ნისლი? კიდეც იმიტომ, — დილიდანვე ვერ გამელვიძა გუნებაზე. რა მოხდა?

**რუსუდანი** — რა და, მამუკა ვერ გავამხიარულეთ.

**გივი** — სკოლაში ჯერაც არ მოსულა.

**პარასკევა** — იმას არ უყურებთ! ჩავუვარდე ერთი, კინწისკვრით წამოვაბრძანებ.

**თინა** — დიდედა პარასკევა, ალბათ იცით, რომ ძია პავლე თავმჯდომარეს სამუშაოდან მოუხსნია.

**პარასკევა** — მაშ რა ეგონა! მაგ ხნის კაცს ეკადრება, გახურებული მუშაობის დროს ტრაქტორის მიტოვება? (ეკიპაჟელები თავს ჩაქინდრავენ).

**სანდრო** — ღვინოს ეტანება, ოჯახში სულ ჩხუბობს.

**პარასკევა** — მოვა ჭკუაზე. არა უშავს...

**მარინე** — დიდედა პარასკევა, მამუკა მაგ მიზეზით აცდენს სკოლას.

**პარასკევა** — ეგ საქმე მე მომანდეთ! დღეს ავალ თავმჯდომარესთან და იმასაც კარგებს მოვახსენებ. ამ გაგანია მუშაობის დროს ტრაქტორისტის მოხსნა შეიძლება?! საყვედური არ ეყოფოდა?!

**თინა** — ახლავე უნდა ახვიდეთ, დიდედა პარასკევა. ეკიპაჟი დიდხანს ვერ იქნება დაღონებული.

**პარასკევა** — ახლავე გადავალ კანტორაში (გადის. შემოდის გელა. ხელში პატარა ამანათი უჭირავს).

**გელა** — რა გახაროთ, რა გახაროთ! ფოსტაში ამანათი გადმომცეს, ჩვენი ეკიპაჟის სახელზეა. (ბავშვები ცნობისმოყვარეობით შემოეხვევიან და მოუთმენლად ელიან ამანათის გახსნას. ხსნიან და ამოაქვთ მაგნიტოფონის ლენტი).

**სანდრო** — ბიჭოს!

**რუსუდანი** — (ამანათს გამოართმევს და კითხულობს) ძია ლევანს გამოუგზავნია.

**მარინე**—უი, ჩვენი სიმღერა იქნება.

**დარეჯანი** — რა მალე შეგვისრულა თხოვნა.

**რუსუდანი** — გოგოებო, სად არის ჩვენი მაგნიტოფონი?

**გივი** — აგერ, სანდრომ გამოიტანა კიდეც.

**სანდრო** — აბა, აქ მომეცით ფირი. (ყველანი მაგნიტოფონს შემოეხვევიან. ისმის ხმა: „ძვირფასო კისკისელებო, მივესალმები თქვენს ხალისიან წამოწყებას. გთხოვთ მეც მიმიღოთ „კისკისას" წევრად. გიგზავნით ახალ სიმღერას, აბა, თქვენ იცით, როგორც მოჰფენთ ამ ჰანგს ჩვენი სოფლის მიდამოებს". ისმის სიმღერა: „კისკას, კისკას, კისკასი..." გახარებული ეკიპაჟელები ცდილობენ გაიმეორონ. უჭირთ. ამახინჯებენ. ისევ ჩართავენ მაგნიტოფონს და ერთად მღერიან. თან ხელიხელს ჩაჰკიდებენ და დატრიალდებიან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეკიპაჟი მიდის. ირევა სინათლის ფერები).

## სურათი მეოთხე

კოლმეურნეობის კანტორა. მაგიდასთან ზის არჩილი. ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკება.

**არჩილი** — ლექსო, როდემდე უნდა უჩხიკინოთ მაგ ტრაქტორს?

**ხმა** — როდემდე და, სანამ ფეხზე არ წამოვაყენებთ.

**არჩილი** — განა ისეთი რა გაუფუჭდა?

**ხმა** — მთლად მოშლილი იყო. დილაზე მზად იქნება. მოვიდეს ტრაქტორისტი და წაიყვანოს.

**არჩილი** — აბა, თქვენ იცით, პირი არ შეირცხვინოთ (დებს ყურმილს. შემოდის პარასკევა)

**პარასკევა** — სალამი, თავმჯდომარევ.

**არჩილი** — (ფეხზე წამოდგება, მიეგებება) გაგიმარჯოს, პარასკევა. კარგია, მოგვინახულეთ. (სკამს მიაწვდის) დაბრძანდით.

**პარასკევა** — რა, შვილოსა, აქ მოსვლა აკრძალული ხომ არა მაქვს!

**არჩილი** — ამ კოლმეურნეობის ფუძე შენა ხარ და, ვისა აქვს უფლება, აგიკრძალოს?

**პარასკევა** — ჰოდა, ამ სიბერეში, ჩემო არჩილ, კიდევ ერთი დიდი თანამდებობა მივიღე: ეკიპაჟ „კისკისას" საპატიო ყარაული ვარ! უი, უკაცრავად, რა ენა მერევა, საპატიო კაპიტანი!

**არჩილი** — კაპიტანი?! ბიჭოს!

**პარასკევა** — ეს ეკიპაჟი ჩვენი უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის გოგო-ბიჭებმა მოიგონეს. მოწყენილობასა და დარდს ებრძვიან. „კარგი გუნება, კარგი ცხოვრების საწინდარიაო“. მართლაც ასე არ არის? არჩილჯან?

**არჩილი** — მართლაც ასეა. ყოჩაღ, პიონერებო! კარგად მოუფიქრებიათ.

**პარასკევა** — ჩემო არჩილ, შენთან ერთი საქმე მაქვს. ვიცი, უყურადღებოდ არ დამტოვებ.

**არჩილი** — თქვენი წილი ჭირნახული გამოგიწერეთ, არ წაგიღიათ?

**პარასკევა** — ლევანამ თავისი მანქანით მომართვა, მაგაზე დიდი მადლობელი ვარ (ფეხზე ადგება და თავს უკრავს). საქმე მარტო ჭამაში როდია. რა მოხდა, რაზე მოხსენი ი ბიჭი?

**არჩილი** — ვინ ბიჭი?

**პარასკევა** — ვინა და ლაფერაანთ პავლე.

**არჩილი** — დაიმსახურა. სამი დღე ზედიზედ ჩაგვიშალა ხვნა.

**პარასკევა** — რა ღმერთი გასწყრომია მაგ შეჩვენებულს! როგორც მომხსნესო, — ისე დარდობს თურმე, ლამის არის თავი მოიკლას. დღედაღამე სვამს, ცოლშვილს ავიწროებს. საწყალი ბიჭი მამუკა ისე დარდობს, სკოლაში აღარ დადის. გოგო-ბიჭები რა ღონეს არა ხმარობენ, მაგრამ ვერას გახდნენ. შინ ასეთი დარდი თუ ტრიალებს, მაშ რა იქნება!

(კანტორის კარებს მოადგებიან ეკიპაჟელები და ყურს მიუგდებენ. განაბულები არიან, მაგრამ უნებურად კარებს მაწვებიან და კანტორის იატაკზე დაცვივდებიან. სანდრომ მუხლი იტკინა, დარეჯანმა — შუბლი, მაგრამ არ იმჩნევენ).

**პარასკევა** — ხომ არაფერი იტკინეთ, შვილებო?

**ეკიპაჟელები** — (კისკისებენ) არა, არაფერი, დიდედა პარასკევა!

**პარასკევა** — არჩილ, აი, ეს გახლავთ ეკიპაჟი „კისკისა“.

**არჩილი** — კეთილი, კეთილი. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

**გელა** — აქამდე არ გვიცნობდით, ძია არჩილ?

**არჩილი** — აქამდე გიცნობდი, როგორც პეტრეს ნაბოლარა ბიჭსა, დღეიდან კი მეცოდინება, რომ დიდი ეკიპაჟის წევრი ყოფილხარ. ბარაქალა შენცა და შენს ამხანაგებსაც (ეკიპაჟელები იცინიან, არჩილიც იღიმება)

**თინა** — ძია არჩილ, ჩვენ თქვენთან ერთი სათხოვარი გვაქვს.

**არჩილი** — ბრძანეთ, ბრძანეთ!

**მარინე** — შეიძლება, კოლმეურნეობის სახელოსნოში ვიაროთ?

**არჩილი** — რატომ?

**დარეჯანი** — გვინდა კონცერტი ჩავუტაროთ ხოლმე.

**სანდრო** — თან ცოტა-ცოტა ჩვენც შევისწავლით ტრაქტორისტობას.



სულ მერხზე ხომ არ ვისხდებით, ძია არჩილ!

**გივი** — მერხიდან პირდაპირ ტრაქტორზე აპირებს გადაჯდომას.

**არჩილი** — ბარაქალა, სანდრო! თქვენი იმედი აქვს სოფელს. ტრაქტორს ჯეელი ბიჭი შვენის. სხვაც ბევრი რამა აქვს სოფელს გასაკეთებელი.

**პარასკევა** — ეკიპაჟო „კისკისა“, სწორდი! (ეკიპაჟი ჩამწკრივდება) შენი სოფლის სამსახურისათვის იყავ მზად!

**ეკიპაჟელები** — მზად ვართ! (იცინიან და გარბიან)

**არჩილი** — ამათი ხათრით დავაბრუნებ პავლეს.

**პარასკევა** — აბა, შენ იცი, იმას არა გთხოვ, თავზე ხელი გადაუსვი-მეთქი. სწორედაც, თვალები დაათხრევინე და ფარაჯოხის ფერდობი მაგას მოახვნევინე, მაგ უსინდისოს მაგასა. (გადის. არჩილი იღიმება, ყურმილს იღებს).

**არჩილი** — პირველი ბრიგადაა? ვანო ხარ? ჰაი, ვანო, როგორ არის საქმეები?

**ხმა** — ულეველში მოვრჩით ხვნას.

**არჩილი** — ჰოო? აგაშენათ ღმერთმა! ერთ საათში ჩამოვალ, ნახნავი უნდა შემოწმდეს! (შემოდის წოწოლა ბრიგადირი, იხდის ნაბდის ქუდს, ღელავს) რა იყო, ქიტეს?

**ქიტესა** — არჩილ, შენი ჭირიმე, ხვალინდელი დღე უნდა მაჩუქო.

**არჩილი** — რას ამბობ, რა უნდა გაჩუქო? (ქიტესა თავს ჩაღუნავს, ფეხის წვერებით იატაკს სერავს) რასა ცქაკავ, ქიტეს, თქვი, რა გინდა?

**ქიტესა** — ტყუპი ბიჭი შემეძინა.

**არჩილი** — (მხარზე ხელს არტყამს, ყურს უწევს) ბარაქალა, ქიტესო!

**ქიტესა** — ხვალ რაიონში მინდა წავიდე, ცოლ-შვილის სანახავად. ფერმაში ყველაფერი რიგზეა. საქმისა ნუ დაგედარდებათ.

**არჩილი** — საპატიო მიზეზია. წადი, გაიხარე! ახლა კი, სადაც არ უნდა იყოს, ლაფერაანთ პავლე მომიძებნე.

**ქიტესა** — პავლე სასადილოში ზის და ნუნუას ყლურწავს.

**არჩილი** — წადი, წამოიყვანე, უთხარი, თავმჯდომარე გეძახის-თქო.

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



### მოქმედება მესამე

### სურათი პირველი

ეკიპაჟ „კისკისას" შტაბი. თინა გეოგრაფიის გაკვეთილს იმეორებს. რუკაზე ვარჯიშობს. შემოდის გელა.

**თინა** — აფრიკის ყველაზე დიდი მდინარე არის ნილოსი.

**გელა** — ოჰო, აქა ბრძანდები?

**თინა** — მისი სიგრძეა 6.500 კმ.

**გელა** — შენ გეკითხებიან!

**თინა** — კისკას, მე სახელი მქვია.

**გელა** — გქვია და გერქვას, მართლა თინათინ დედოფალი ხომ არ გგონია შენი თავი! სულ შენი გულისათვის დამცინიან ამხანაგები.

**თინა** — მე რა შუაში ვარ?

**გელა** — რატომ არ უჯავრდები, რალაცებს რომ ამბობენ ჩვენზე!

**თინა** — ხუმრობა არ იცი?

**გელა** — მე არ მიყვარს ეგეთი ხუმრობა. შენ თუ ძალიან გიყვარს, სანდროზე ახუმრე.

**თინა** — (გელას მხარზე ხელს გადახვევს) გელა, ამხანაგები მე თვალს მიკრავენ და შენს გასაბრაზებლად ლაპარაკობენ, იმიტომ, რომ ბრაზობ. გასაბრაზებელი კი რა გაქვს? იხუმრონ, ჩვენი მეგობრები არ არიან?! (კარებს მოადგება მამუკა, შეჩერდება, უკან დაბრუნებას დააპირებს) მამუკა, მოდი, მოდი, რახანია გელოდები. გელა, მე და მამუკამ გეოგრაფიაში უნდა ვიმეცადინოთ, შენც ხომ არ შემოგვიერთდები?

**გელა** — მე უკვე დავამზადე გაკვეთილები. დიდედასთან მივდივარ. საფქვავი უნდა წავუღო წისქვილში. (გადის. თინა და მამუკა მიდიან რუკასთან, წიგნს გადაშლიან).

**თინა** — აბა, მამუკა, წინა გაკვეთილი გავიმეოროთ. შემოხაზე ნილოსისა და კონგოს აუზები, ხომ გახსოვს?

#### ჩაბნელება

სინათლე სცენის წინა მხარეს მიადგება. ჯირკზე სხედან სანდრო და გივი. შორიდან ისმის ტრაქტორის გუგუნი.

**გივი** — სანდრო, რა ოთხიანი გაიკარი დღეს ქართულში!

**სანდრო** — კიდევ კარგი, დილით ადრე ავდექი, გულმა მიგრძნო— გამიძახებდა. კარგად დავისწავლე, მერე როგორ მიყვარს „კაკო ყაჩაღი". „სამშობლოს ცასა, ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა, და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი ალაზნის ველზე წამოიხარა".

ყოფილხარ ალაზანზე? არა? მართლაც დიდებული მთვარიანი ღამეები იცის. შარშან ზაფხული ჩემს დასთან გავატარე ყვარელში. (შემოდიან მარინე, დარეჯანი, რუსუდანი)

**მარინე** — რა არხეინად სხედხართ.

**დარეჯანი** ოცნებობენ.

**რუსუდანი** — ოცნების დროა?

**გივი** — თუ არ იოცნებე, ვერც იმუშავებ. აბა, შეხედეთ იმ ფერდობს, — ისე დავაკრიალეთ, ერბო აიკრიფება.

**გოგონები** — დედავ, დედავ, ეს რამოდენა ქვა-ღორღი გამოგიტანიათ!

**სანდრო** — მთელი რაზმი შევესიეთ და, მა რა იქნებოდა.

**მარინე** — ახლა მანქანაა საჭირო გასატანად.

**გივი** — მანქანას ველოდებით სწორედ. ნიჩბებიც უნდა ამოგვიტანონ.

**მარინე** — ბიჭებო, ძალიან ყოჩაღობთ. ჩვენი ეკიპაჟი ამაყობს თქვენით. (გივი და სანდრო იცინიან). ამიტომ, ისეთი ნაზუქი ამოგიტანეთ, მარტო სუნით დაიბნიდებით. (კალათიდან იღებს ნაზუქს და შუაზე უტეხავს ბიჭებს)

**გივი** — ჩვენი ეკიპაჟი თქვენითაც ამაყობს, თქვე თმამოკლეებო და ჭკუაგრძელებო! რა გემრიელი ნაზუქია!

**მარინე** — რაზმის გამოფენისათვის ახალი ხიდის მოდელი მოათავე?

**გივი** — მოდელი კი არა, ნამდვილი ხიდია. პირდაპირ დაიდგმება რიყეზე.

**რუსუდანი** — მეორე რგოლიც ძალიან ემზადება. ემზარსა და ნიკოს ისეთი წისქვილი გაუკეთებიათ, თურმე მართლა ფქვავს.

**მარინე** — ისინი გამომგონებლები არიან!

**დარეჯანი** —სამაგიეროდ, სპორტულ დარბაზში ვერ შეიყვან. იმ დღეს ემზარი რგოლებზე ჩამოეკიდა და, მასწავლებელი რომ არ შესწრებოდა, გოგრასავით დაეხეთქებოდა.

**სანდრო** — აგერა, მამუკა და თინაც მოდიან. (შემოდიან თინა და მამუკა). ჩააბულბულეთ გეოგრაფია?

**მამუკა** — ჩავაბულბულეთ.

**თინა** — ძია პავლეს ხომ არაფერი უჭირს?

**სანდრო** — გახედე, აგერ ძია პავლე აქეთ მოაგუგუნებს ტრაქტორს. (ისმის ტრაქტორის გუგუნი). გალომებულია ძია პავლე, გალომებული.

**მამუკა** — ბიჭებო, მამამ მითხრა, ხვალ მიმბმელებად უნდა დაგაყენოთო!

**გივი** — აუჰ, შენი გულისა! ეს კი მართლა საქმეა. (შემოდის გულო).

**გულო** — აბა, ბიჭებო, მარდად, მანქანის ძარაში ნიჩბებია და დაითითოვეთ, დატრიალდით თქვენებურად. ეს ქვა-ღორღი სალამომდე უნდა გავიტანოთ. (ბიჭები წამოცვივდებიან და გარბიან). გოგონებო, თქვენ კი ფერმაში ადით, სონამ ხელი იტკინა, თაბა-



...ის სახ. სახ. სახ...
...ბიბლიოთეკა...

შირში ჩაუსვეს და, აბა ცალი ხელით რას გახდება?

**თინა** — ახლავე წავალთ, გულო ხელმძღვანელო!

### სურათი მეორე

სახბორე.

**მარინე** — დეიდა სონა, გვითხარით რაში მოგეხმაროთ.

**სონა** — შენ რძეს მიხედე, ძალიან არ გაცხელდეს. შენ კი, დარეჯან, აი, ეს ბოთლები ცხელი წყლით კარგად გამორეცხე. (მარინე და დარეჯანი გადიან).

**რუსუდანი** — დეიდა სონა, მე რაღა გავაკეთო?

**სონა** — შენთვისაც გამოვნახავ საქმეს... ეს მაწოვრები გამოხარშე. ელექტროქურაზე პატარა ქვაბი დგას. (რუსუდანი გადის. სონა დოლბანდით თვალებს უწმენდავს ხბოებს). ცუცნიებო, პაწაწებო... მოგშივდათ განა? ახლავე, ახლავე, თქვე მოუსვენრებო თქვენა. ვერა ხედავთ, როგორ ტრიალებენ თქვენი გულისთვის გოგოები? (შემოდის მარინე, ქვაბით რძე შემოაქვს).

**მარინე** — აი, რძე შეთბა უკვე. (შემოჰყვება დარეჯანი ბოთლებით ხელში).

**დარეჯანი** — ისე დავაკრიალე, თქვენი მოწონებული.

**სონა** — გოგოებო, ძაბრი მანდ არის, კარადაში, გამოიღეთ და ჩაასხით რძე ბოთლებში. (გოგონები ასრულებენ დავალებას. შემოდის რუსუდანი).

**რუსუდანი** — გამოვხარშე მაწოვრები.

**სონა** — ხელები დაიბანე?

**რუსუდანი** — კი, სამჯერ.

**სონა** — მაშინ, ბოთლებს საწოვრები გაუკეთე. დოლბანდის პირსაფრები აიფარეთ, თეთრი ხალათები ჩაიცვით. იცით რა ნაზი-ნუზები არიან? ვიდრე მომაგრდებიან, გაფრთხილება უნდათ. (გოგონები იკეთებენ პირბადეებს და ბოთლებით ხელში მიდიან ხბოებთან).

**მარინე** — უი, შენ გენაცვალე, როგორ ლულავს თვალებს!

**დარეჯანი** — ამას სძინავს და ისე სწოვს.

**რუსუდანი** — ეს დრუნჩა კი ბორბლებივით ატრიალებს თვალებს.

**სონა** — ჩუმად ისხედით. ხმაურში რძე არ შეერგებათ. მე ნახერხს ამოვიტან, იატაკზე მოვუყრი, არ შეცივდეთ ამ ციცალებს ამათი. (გადის. გოგონები წყნარად ღიღინებენ).

### სურათი მესამე

შემოდგომაა. კულტურის სახლის ეზო მორთულია საზეიმოდ. ეკიპაჟელები დიდ ფაციფუცში არიან. აკრავენ პლაკატს: „გილოცავთ მოსავლის ზეიმს!“

**თინა** — მამუკა, სიმღერა ხომ აღარ გეშლება?

**მამუკა** — ნაკადულივით ვრაკრაკებ...

**მარინე** — შენებურად კი არ გაუტიო!

**დარეჯანი** — ლამაზად უნდა იმღერო.

**გივი** — გამოვიდნენ რეჟისორები რაღა!.. თვითონ იცის. (ეჯაჯგურება ლურსმანს, ვერ აძრობს, გული მოსდის).

**რუსუდანი** — გივი, კისკას! შუბლი გახსენი. (შემორბიან გელა და სანდრო, ხელთ უჭირავთ ნიღბები, ფერად-ფერადი კაბები).

**მარინე** — ხომ არ დაჭმუჭნეთ ეგ კაბები?

**დარეჯანი** — მოვკვდი მაგათი გაუთოებით.

**რუსუდანი** — სანდრო, კისკას! შუბლი გახსენი. (ეზოში ნელ-ნელა იკრიბებიან კოლმეურნეები).

**პავლე** — გამარჯობათ კისკისელებო! (ელენეც ესალმება).

**ეკიპაჟელები** — გაგიმარჯოთ, ძია პავლე, დეიდა ელენე. (ეკიპაჟელებს შემოაქვთ მაგიდა. ზედ აფარებენ წითელ ქსოვილს. შემორბენინებენ ყვავილების თაიგულს, ლარნაკში ჩადებენ და მაგიდაზე დგამენ). ბიბლიოთეკა

**თინა** — აბა, ეკიპაჟელებო, მზად ხართ? თავმჯდომარე მოდის.

**დარეჯანი** — მუსიკა ჩართეთ! (სანდრო, გელა, გივი და მამუკა მაგნიტოფონს მისცვივდებიან. ისმის ხალისიანი მუსიკა. შემოდის არჩილი).

**არჩილი** — ხალხო და ჯამაათნო! მომილოცნია მოსავლის ზეიმი! დაილოცოს შემოდგომა, კურთხეულ იყოს თქვენი მარჯვენა, ალალი იყოს თქვენზე თქვენი ოფლით მოპოვებული სარჩო-საბადებელი! (ხმები: „ალალი იყოს, ალალი“).

**გულო** — ნება მიბოძეთ, ეკიპაჟ „კისკისას“ გადავცე რაზმის გარდამავალი დროშა და გაცნობოთ, რომ დღეიდან ეკიპაჟი „კისკისა“ გარდა ამ ერთი რგოლისა გააერთიანებს მთელი რაზმის პიონერებს. (ტაში).

**არჩილი** — კოლმეურნეობა „დოვლათის“ გამგეობა კი ქების სიგელით აჯილდოვებს ეკიპაჟ „კისკისას“ და თითოეულ მათგანს ასაჩუქრებს ოცდახუთი შრომადღით. (აწვდის პარასკევას ქების სიგელს. შეძახილები: „ყოჩაღ, პარასკევა!“. ეკიპაჟი მღერის: „კისკას, კისკას, კისკასი“... ხალხი სკამებს ჩასწევს აქეთ-იქით, შუა ადგილს ანთავისუფლებენ. ეკიპაჟელები კოსტუმებში გამოწყობი-



ლები ჩამწკრივდებიან ერთ მხარეს. წინ გამოდგება მამუკა).

**მამუკა** — ახლა კი ეკიპაჟ „კისკისას“ წევრები წარმოგიდგენთ ჩვენს თვითმოქმედებას, რომელსაც „მოსავლის ზეიმი“ ვუწოდეთ.

(ცეკვით შემორბიან ვაშლები და თან მღერიან):

ლოყაწითელი ვაშლი ვარ,
კეხურა, ტკბილი, წვნიანი,
დაგვბრაწა შემოდგომამ —
თბილია, ოქროს მზიანი.
(ვაშლებს ცვლიან კომშები):
კომში, კომში, კომარაო,
კომში გადმომიყარაო,
ჩამიცვივდა ოქროს ტაშტში,
მოდუღდება მურაბაო,
თავისთავად, ნება-ნება.
ნუ იდარდებთ ნურაზე!
ბროლის ლარნაკს დავამშვენებთ
საახალწლო სუფრაზე.

(კომშებს სცვლიან ვაზები. შემოდიან ნარნარი, დინჯი მოძრაობით).

**1-ლი** — მე, მარცვალა ვარ!
**მე-2** — მე ხარისთვალა!
**მე-3** — მე ბუდეშური!
**მე-4** — მე საფერავი!
**1-ლი** — მე თითას ჩხა ვარ,
**მე-2** — მე ხარისთვალას აკიდო.
**მე-3** — მოდით, გოგო-ბიჭებო,
**მე-4** — ზურგზე დოვლათი აგკიდოთ...

(შემოდიან ცეკვით თავთავები)
ჯერ ვლალანებდით მწვანედა,
დავპურდით, გავხდით ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გვთესა-მოგვიყვანაო!

(აცეკვდება მთელი ჭირნახული. გამოგორდებიან გოგრები, კომბოსტოები, სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული. ყველა ერთად მღერის:
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გვთესა-მოგვიყვანაო).

ფარდა

ფარდის წინ გამოცვივდებიან ეკიპაჟელები და მაყურებელს მიმართავენ:

თუ მოიწყინოთ,
თუ რამ გეწყინოთ,
ან გაგიჭირდეთ, თუნდა
მცირედი, —
თან გაიყოლეთ ჩვენი სიმღერა,
როგორც იმედი, როგორც იმედი.
(მღერიან):
კისკას, კისკას, კისკასი, —
თვისება ვარ ძვირფასი;
გოგნი, გოგნი, გოგონი,
შენ ხარ ჩემი მომგონი.


ნანა ქავთარაძე







ამ ბოლო წლებში სულ უფრო გახშირდა ჯაზის ფესტივალების მოწყობა სხვადასხვა ქვეყანაში. დიდი პოპულარობა მოიპოვა 1965-66 წლების ჯაზის ფესტივალმა პრაღაში. ამ ფესტივალში 23 ქვეყანა, მათ შორის, საბჭოთა კავშირიც მონაწილეობდა. ფესტივალმა თავი მოუყარა თანამედროვე ჯაზის საუკეთესო ძალებს: ნიჭიერ კომპოზიტორებს, შემსრულებელ-ვირტუოზებს, მცირე შემადგენლობის ანსამბლებს, ჯაზ-ორკესტრებს და მათ კრიტიკოსებსაც. ამგვარი სახის ფესტივალები საბჭოთა კავშირშიც ეწყობა. მაგალითად, ცნობილია ლენინგრადის, ტალინის ჯაზის ფესტივალები. ჩვენს რესპუბლიკებში უკვე არის ლაპარაკი ჯაზის ეროვნულ ნაირსახეობათა შექმნაზეც.

ჯაზურ მუსიკას უამრავი ავტორი, ნიჭიერი შემსრულებელი და თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელთა რიგები დღითი დღე იზრდება. რადიო და ტელეგადაცემებით, აგრეთვე მექანიკური ჩანაწერების საშუალებით ჩვენ ვიცნობთ თანამედროვე ამერიკული ჯაზის საუკეთესო ანსამბლს „მოდერნ-ჯაზ-კვარტეტს“ და მის მხატვრულ ხელმძღვანელს პიანისტ ჯონ ლუისს; სიამოვნებით ვუსმენთ ფრანგი მომღერლების ანსამბლს — „სვინგლ სინგერს“ და მის შესანიშნავ მომღერალ ქალს კრისტინა ლეგრანს, რომლის რეპერტუარშია კლასიკოსთა ნაწარმოებების შესრულება ჯაზის რიტმულ ფონზე. ლეგრანი საოცრად ასრულებს ბახის, ჰენდელის, მოცარტის ნაწარმოებებს. საუკეთესო კოლექტივები და შემსრულებლები ჰყავს ინგლისურ, ჩეხურ, პოლონურ, სკანდინავიურ ჯაზს.

ყოველივე ეს მოწმობს ჯაზის დიდ პოპულარობას, მის მასობრივობას. თავის დროზე გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა სკოტ ფიტცჯერალდმა მეოცე საუკუნეს „ჯაზის ეპოქა“ უწოდა. მართლაც, ჯაზი ჩვენი საუკუნის პირმშოა. იგი წარმოიშვა ამერიკაში, XX საუკუნის 10-20-იან წლებში. ჯაზმა განვითარების დიდი გზა განვლო, განიცადა მრავალგვარი ცვლილება, წარმოქმნა თავისი უამრავი ნაირსახეობა, დამახასიათებელი სტილისტური ნიშანთვისებები. ჯაზი ახლაც განვითარების პროცესშია.

# ჯაზური მუსიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჯაზმენი“. მხატვარი ბ. ოტოლა

მასზე დიდ გავლენას ახდენს კლასიკური მუსიკისა და ეროვნული მუსიკალური კულტურების თავისებურებანი ისევე, როგორ თვითონვე იწვევს მათში გარკვეულ რეაქციას, ერწყმის და ეგუება მათ.

ჯაზი დიდად განსხვავდება ევროპული პროფესიული მუსიკისაგან თუნდაც იმით, რომ ჯაზი ნამდვილ სიცოცხლეს მაშინ იწყებს, როცა იგი უშუალოდ ხმოვანებს. ჯაზის ნოტებზე გადატანა ვერასდროს ვერ წარმოსახავს ზუსტად იმ ინტონაციურ დახვეწილობას, ტემბრების თუ რიტმების კომბინაციებს, მრავალფეროვან ნიუანსებს, რომელსაც წარმოქმნის ჯაზი უშუალო შესრულების, ხმოვანების დროს. ეს იმიტომ, რომ ჯაზის მთავარ დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს არა რაიმე ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული მუსიკალური კანონზომიერება, არამედ **იმპროვიზაციულობა,** ე. ი. თავისუფალი, შეუზღუდავი მუსიკალური აზროვნება, რომელსაც ერთდროულად გამოხატავს ჯაზის ყოველი შემსრულებელი დაკვრის დროს, თავისი ინდივიდუალური განწყობილებებისა და საშემსრულებლო ტექნიკის შესაბამისად.

სიტყვა „ჯაზი“ (jass ან jarr) თავდაპირველად გაჩნდა იმ მუსიკასთან დაკავშირებით, რომელსაც ნიუ-ორლეანის ქუჩებსა და მოედნებზე 5-6 კაცისაგან შემდგარი ზანგ მომღერალ-დამკვრელთა ანსამბლები ასრულებდნენ. ეს ანსამბლები ძირითადად ასრულებდნენ პოპულარულ საოპერო არიებს, მარშებს და ცეკვებს ზანგური მუსიკის რიტმებზე. ამ მუსიკოსთა უმრავლესობამ არც კი იცოდა, ნოტები რა იყო და მელოდიებს მხოლოდ საკუთარ სმენასა და მუსიკალურ მახსოვრობაზე დაყრდნობით ასრულებდა. პოპულარული მელოდიები რიტმულად და ინტონაციურად იმდენად იცვლიდნენ სახეს, რომ მსმენელი ძნელად ხვდებოდა მათს პირველად სახეს. ამ სახეცვლილებაში დიდ როლს ასრულებდა მომღერლის ან ინსტრუმენტზე დამკვრელის იმპროვიზაციული ნიჭი, მუსიკალური გემოვნება.

ჯაზი უაღრესად ეროვნული მოვლენაა და მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ამერიკულ ხალხურ მუსიკაში, განსაკუთრებით — ზანგურ ფოლკლორში. ასე მაგალითად, ჯაზის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა იქონია უძველესმა ზანგურმა ხალხურმა საგალობელმა, რომელიც ცნობილია სპირიჩუელსის სახელით. სპირიჩუელსში გუნდის ხელმძღვანელსა და გუნდს შორის იმართება დიალოგი. მელოდია ძალიან ხშირად მოძრაობს თავისუფლად, რამდენიმე ხმის ერთდროული პარალელური სვლით. სპირიჩუელსი რიტმულადაც თავისებურია, მასში არ ხდება თანაბარ ზომებად მელოდიის დაყოფა ანუ ტაქტების გამოყოფა, არამედ უწყვეტი, ტალღისმაგვარი „ქანაობის“ შთაბეჭდილება იქმნება. ზანგების სპირიჩუელსი — ლოცვაა უკეთესი მომავლისათვის. იგი გამოხატავს შინაგანი სიმშვიდისაკენ სწრაფვას, სიმართლის გამარჯვების რწმენას. სპირიჩუელსმა, თავისი პოეტური ფორმის მეოხებით, დიდი გავლენა იქონია ჯაზის განვითარებაზე, შეეთვისა მის ბუნებას და ჯაზი გაამდიდრა გამოსახვის ახალი საშუალებებით.

ჯაზის განვითარებაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ-საყოფაცხოვრებო სიმღერისა და ბალადის საფუძველზე აღმოცენებულ ზანგურ ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის ახალ სახეს, რომელსაც ბლიუზი ეწოდება (blue — ინგლისურად სევდიან განწყობილებასაც ნიშნავს). ბლიუზს უმეტესად მღეროდნენ მდინარე მისისიპის ნაპირებზე მცხოვრები ზანგები. ბლიუზის ძირითადი თემა იყო სასოწარკვეთილება, სევდა სამშობლოზე, გაცრუებული სიყვარული, ადამიანის ყოველგვარი უსიამოვნო განცდა. ბლიუზის მელოდია თავისებურად სრულდებოდა: სიმღერის დროს მომღერალს თითოეულ ფრაზაში განსაკუთრებული ბგერები ჰქონდა შესასრულებელი, რომლებიც გამოხატავდნენ სევდას. ამ ბგერებს არ ჰქონდათ ზუსტად განსაზღვრული სიმაღლე და შემსრულებელს შეეძლო ხმის თავისუფალი „დაცურება“. ლექსის სტროფში ყოველთვის მეორდებოდა პირველი სტრიქონი. სტროფებს შორის დარჩენილ ინტერვალს ასრულებდა ინსტრუმენტული ანსამბლი: გიტარა, ბანჯო, საყვირი, კლარნეტი, ტრომბონი. ბლიუზმა სწრაფად მოიკიდა ფეხი მუშათა რაიონებში, სამიკიტნოებში, ზანგ მეთევზეთა უბნებში. ბლიუზებში ხშირად აისახებოდა ამ ფენების წარმომადგენელთა მისწრაფება შორეული მოგზაურობისაკენ — ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. ამიტომ გზის, მატარებლის თემატიკა ხშირი მოვლენა იყო ბლიუზში. მატარებლის ხმაურის, მისი ბორბლების მოძრაობის მიბაძვას დაერქვა „ბუგი-ვუგი“ (ბლიუზის ინსტრუმენტული თანხლება), რომელმაც შემდგომში დამოუკიდებელი განვითარება განიცადა.

ბლიუზის პარალელურად, ამერიკული საესტრადო ჯაზის წინამორბედად ითვლება ამერიკის ყოფაცხოვრებაში საკმაოდ ფეხმოკიდებული ცეკვა „კეიკ-უოკ“. ამ ცეკვით ზანგებმა თავდაპირველად „თეთრკანიანი ბატონებისა და ქალბატონების“ მანერული სიარულის გამასხრება, დაცინვა დაიწყეს. ცეკვის დროს ზედმეტად არხევდნენ ტანის კორპუსს, უეცრად სცვლიდნენ ნაბიჯს და, ცეკვაში აკრობატული ფიგურების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანით, პაროდიას ჰქმნიდნენ. ცეკვა „კეიკ-უოკს“ ჰქონდა მეტად თავისებური საფორტეპიანო თანხლება ორწილადი მახვილი რიტმით. ამ აკომპანიმენტს ეწოდებოდა „რეგტაიმი“ და იგი აფრიკული დოლის მკვეთრ დარტყმას უფრო ჰგავდა, ვიდრე ფორტეპიანოზე ემოციურ შესრულებას. რეგტაიმმაც დიდი გავლენა იქონია ჯაზის შექმნაზე.

აღსანიშნავია ჯაზის წინა პერიოდის მესამე მოვლენაც, რომელიც დაკავშირებული იყო ინსტრუმენტული ანსამბლების — ჯაზ-ბანდების გაჩენასთან. ვარაუდობენ, რომ სწორედ აქედან მიიღო თვით ჯაზმა თავისი სახელწოდება. ამ ტიპის ანსამბლი პირველად ნიუ-იორკში გაჩნდა, 1910 წელს. იმხანად მას არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია საზოგადოებაში. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ ანსამბლმა არნახული რეაქცია გამოიწვია ნიუ-იორკის საზოგადოებაში და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ეს მოხდა 1917 წლის 26 იანვარს. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ მომენტს უნდა განესაზღვრა „ჯაზის ეპოქის“ დასაწყისი.

ჯაზ-ბანდები ელვის სისწრაფით მოედო ამერიკის მსხვილ საწარმოო ცენტრებს. ჯაზ-ბანდებმა თავისი იმპროვიზაციებით, რიტმული სიმახვილით, დაძაბული ნერვიული ხმოვანებითა და დასარტყამ საკრავთა გამაყრუებელი ხმაურით დაჩრდილეს ამერიკული ქალაქების მუსიკალური ყოფაცხოვრების ყველა დანარჩენი ფორმები. ჯაზ-ბანდების რეპერტუარში საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე ჯაზური მუსიკის სტილი.

ჯაზის ორკესტრი მეტად თავისებურია და იგი მკვეთრად განსხვავდება სიმფონიური ორკესტრისაგან არა მარტო შემადგენლობით, არამედ იმითაც, თუ რა როლს ასრულებს მუსიკალური მასალის შესრულებაში ესა თუ ის ჯგუფი, როგორია მათი აქტივობა. ჯაზის ორკესტრი შედგება სამი ჯგუფისაგან: დასარტყამი, ხის ჩასაბერი და სპილენძის ჩასაბერი ინსტრუმენტებისაგან. ჯაზში გაბატონებული ელემენტია — რიტმი. ამიტომ, დასარტყამი ჯგუფის საკრავები ჯაზში, წინააღმდეგ სიმფონიური ორკესტრისა, უდიდეს როლს თამაშობენ. ამ ჯგუფში შედის სხვადასხვა საკრავი: დოლები, ფორტეპიანო, ბანჯო, გიტარები, კონტრაბასები. სიმფონიურ ორკესტრში, ყველა ჩამოთვლილი ინსტრუმენტი, დოლის გარდა, ძირითადად მელოდიური ხაზის შემსრულებელია. ჯაზში კი მათი მხოლოდ დასარტყამი თვისებებია გამოყენებული. სამაგიეროდ, მელოდიური ხაზის შესრულება ჯაზმა მიანდო ხის ჩასაბერ საკრავებს — საქსოფონს, კლარნეტს და სპილენძის ჯგუფს — საყვირებსა და ტრომბონებს. ჯაზმა უარყო ვიოლინო და ვიოლონჩელო და მათი ადგილი დაუთმო საქსოფონსა და საყვირს. აღმოაჩინა და გამოამჟღავნა რა ამ ინსტრუმენტების დიდი საშემსრულებლო შესაძლებლობანი. ჯაზორკესტრს არასდროს არ შეუძლია სიმფონიური ორკესტრის მსგავსად ჩუმი დაკვრა, ე. წ. pp (პიანისიმოს) აღება. პირიქით, ff (ფორტისიმო) ჯაზის საშუალო დინამიური ხმოვანებაა. საერთოდ, ხმოვანების დინამიურ ცვალებადობას ჯაზში არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ჯაზი თავისი ფორმითაც განსხვავდება კლასიკური მუსიკისაგან. ჯაზის ტიპიური და განვითარებული ფორმაა თემა და მისი ვარიაციები ანუ სახეცვლა.

ალბათ ხშირად შეგიმჩნევიათ ჯაზში მომღერალის რამდენიმე მელოდიური ფრაზის გამღერების შემდეგ ერთგვარი საორკესტრო „ანტრაქტი“ — დროის შევსება წმინდა საორკესტრო ხმოვანებით. ეს მომენტი ხშირად დაკავშირებულია მედოლის რთულ რიტმულ „ილეთებთან“ ან სასულე ინსტრუმენტების იმპროვიზაციებთან. ასეთ შესვენებას ჯაზში „ბრეიკი“ ეწოდება.

ჯაზმა თავისი განვითარების მანძილზე მრავალი სტილისტური თავისებურებანი და ფორმები შექმნა, 20-30-იან წლებში ამერიკაში გაჩნდა შემდეგი სტილისტური ნაირსახეობები: „hot jarr“, ე. ი. „ცხელი ჯაზი“, რამაც ჯაზურ მუსიკაში გააძლიერა იმპროვიზაციული პოლიფონიის ელემენტები; „sweet jarr“ ანუ „სასიამოვნო ჯაზი“, რომელიც ბროდვეის საესტრადო სცენებზე გასართობი მუსიკის დანიშნულებისათვის წარმოიქმნა. ჯაზის ეს სახეობა კომერციული მნიშვნელობისა იყო. 30-იანი წლების დასაწყისში ჯაზმა დროებითი კრიზისი განიცადა. ამერიკული მუსიკალური ცხოვრების ყოველდღიურობიდან დროებით ამოვარდა ტერმინი „ჯაზი“, მისი ადგილი დაიკავა ახალმა სტილისტურმა ნაირსახეობამ, რომელიც ცნობილია „სუინგის“ (swing) სახელწოდებით. რაც „რწევას“ ნიშნავს. მის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ ზანგებიცა და თეთრკანიანი მუსიკოსებიც. ამგვარი შერეული სახის ორკესტრის შემქმნელად ამერიკაში ითვლება პოპულარული თეთრკანიანი მუსიკოსი, „კლარნეტის ვირტუოზი“, „სუინგის მეფედ“ წოდებული—ბენი გუდმანი. ბენი გუდმანმა პირველმა მოიწვია თავის ანსამბლში ზანგი შემსრულებლები, რაც იმხანად დაუშვებელი იყო. (ბენი გუდმანი 1964 წელს საგასტროლოდ ეწვია საბჭოთა კავშირს და რამდენიმე დღე თბილისშიაც დაჰყო. გუდმანმა „სუინგი“ უფრო მეტად მიუახლოვა ევროპული მუსიკის მელოდიურობას, მის წყობას. „სუინგის“ მეორე დიდი წარმომადგენელია კომპოზიტორი და ბრწყინვალე პიანისტი — დიუკ ელინგტონი, რომელმაც ხელი შეუწყო სიმფონიური მუსიკის ტრადიციებისა და ჯაზის დაახლოების, შეგუების პროცესს. ელინგტონის საუკეთესო ნაწარმოებები: „კლარნეტის ჩივილი“, „ჯუნგლების ექო“, „შავი და ყავისფერი ფანტაზია“ ახლაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ამერიკაში. „სუინგისტებს“ მოგვიანებით შეუერთდა არანაკლებ პოპულარული ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გლენ მილერი. ამ ორკესტრს ჩვენ ვიცნობთ კინოფილმიდან „მზიური ველის სერენადა“.

40-იან წლებში ჯაზმა განვითარების კიდევ ახალი საფეხური განვლო. „სუინგის“ მელოდიურობა და პოეტურობა უარყოფილი იქნა და წარმოიშვა მშრალი ნახაზის სტილი, რომელსაც ეწოდება „ბი-ბოპ“, „რი-ბოპ“, ან, უბრალოდ, „ბოპ“. ეს სიტყვა, როგორც ამბობენ, წარმოიშვა იმ მომენტში, როცა შემსრულებლები ერთმანეთს აგებინებდნენ იმპროვი-



მესაყვირე.
მხატვარი ჩარლზ უაიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციაში ინტონაციისა და რიტმის შეცვლას. ბი-ბოპის მედროშედ ითვლება სახელმოხვეჭილი ვირტუოზი-საქსოფონისტი ჩარლზ პერკერი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბი-ბოპის შემსრულებლებმა პროტესტი გამოუცხადეს ზანგების სოციალურ და რასობრივ ჩაგვრას, ფერადკანიანთა დამცირების პოლიტიკას. ახალგაზრდა შემსრულებლები აუდიტორიის გამოხმაურებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ზურგშექცეულები, დიდი ბერეტებითა და მუქი სათვალეებით, დაკვრის დამთავრებისთანავე უჩინარდებოდნენ კულისებში.

50-იან წლებში ჩნდება „ცივი ჯაზის“ ნაირსახეობა, მისი შემქმნელია მაილ დეივსი. ამ ნაირსახეობის თავისებურებაა ორკესტრის მცირე შემადგენლობა და სიახლოვე ევროპულ კამერულ მუსიკასთან. 50-60-იან წლებში ჯაზის განვითარებული ნაირსახეობანი გვხვდება აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, სადაც შეინიშნება ჯაზის გამდიდრება ეროვნული ხალხური მუსიკის ნიშნებით. ამ მხრივ, ეს ეროვნული „ჯაზური სკოლები“ დაუპირისპირდა აბსტრაქტულ ჯაზს, რომელიც ამერიკაში „ანტიჯაზის“ სახელითაა ცნობილი. ამჟამად თანამედროვე ჯაზში გაბატონებულია ე. წ. „მესამე მიმდინარეობა“. იგი მიზნად ისახავს ჯაზისა და სიმფონიური ფორმების გაერთიანებას ერთ ანსამბლად, რომელშიც სიმფონიური ორკესტრის ჯგუფები შეერწყმის სოლისტ-იმპროვიზატორებს. ამ მიმდინარეობას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ამგვარად, ამერიკულმა ჯაზმა, მართალია, თავისი განვითარების გზა არაპროფესიონალი მუსიკოსებით დაიწყო, მაგრამ მალე განვლო მეტად საინტერესო ეტაპები და მას გაუჩნდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი შემსრულებლები, რომლებიც თავიანთი ოსტატობით, ტალანტით არ ჩამოუვარდებიან ევროპის სახელმოხვეჭილ კომპოზიტორებს. ესენი არიან: ლუი არმსტრონგი, დიუკ ელინგტონი, ედუარდ მაკდოუელი, ჯორჯ გერშვინი.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ჯორჯ გერშვინის შემოქმედების გზა. იგი ნიუ-იორკის მუშათა რაიონში გაიზარდა და მისი მუსიკალური აღზრდის კერა იყო არა აკადემიური კონსერვატორია, არამედ, ერთის მხრივ — ქუჩის სიმღერები, ცეკვები, ზანგური ხალხური ჰანგები, ხოლო მეორეს მხრივ — ბროდვეის თეატრალური სცენების, ესტრადების საორკესტრო კოლექტივებისა და ცალკეული შემსრულებლების ვირტუოზული საკონცერტო ტრიუკები. გერშვინმა 14 წლის ასაკში დაიწყო ფორტეპიანოზე პედაგოგთან მეცადინეობა, გამოირჩეოდა იმპროვიზაციის დიდი ნიჭით, მუსიკალობით და ინდივიდუალური საშემსრულებლო მანერით. მალე მუშაობა დაიწყო სანოტო მაღაზიაში ახალი პიესების „რეკლამისტად“ — ნოტების მყიდველებს აცნობდა მაღაზიის სიახლეებს, დროდადრო კი მყიდველებს აპარებდა საკუთარ ნაწარმოებებს, რომლებმაც მალე დიდი პოპულარობა და მოწონება მოიპოვეს. მას ეკუთვნის 300-ზე მეტი საესტრადო სიმღერა, „რაფსოდია ცისფერ ტონებში“ და კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფო-ჯაზისათვის, სიმფონიური პიესა — „ამერიკელი პარიზში“ და საყოველთაოდ ცნობილი ოპერა „პორგი და ბესი“, რომელიც ზანგების ცხოვრებიდან აღებულ სიუჟეტზეა დაწერილი.

გერშვინმა ჯაზში არა მარტო მსუბუქ-გასართობი მხარეები, არამედ, პირველ რიგში, მისი ღრმად ხალხური და ეროვნული ფესვებიც დაინახა. ამერიკულ მუსიკაში მან პირველმა გასდო მეგობრობის ხიდი პროფესიულ ამერიკულ მუსიკასა და ჯაზს შორის, პირველმა დაუკავშირა ჯაზი სიმფონიური მუსიკის კლასიკურ ტრადიციებს და პოლ უაიტმენთან ერთად მოგვცა ახალი ნაირსახეობა — სიმფო-ჯაზი.

ჯაზის ელემენტებმა თავი იჩინეს XX საუკუნის სხვადასხვა ეროვნული სკოლების დიდ წარმომადგენელთა შემოქმედებაში. ასე მაგალითად, დიდი ყურადღება მიაქციეს და მთელ რიგ ნაწარმოებებში გამოიყენეს ისინი ფრანგმა კომპოზიტორებმა — დებიუსიმ, რაველმა, მიიომ, ონეგერმა, პულენკმა, გერმანელმა — ჰინდემიტმა, უნგრელმა — ბელა ბარტოკმა, რუსმა — იგორ სტრავინსკიმ. ეს გარემოება მიგვითითებს იმაზე, რომ ჯაზი არ არის მხოლოდ გასართობი მუსიკა. აი, რას ამბობს „ჯაზის ხელმწიფე“ პოლ უაიტმენი:

„ჩვენ სრულებითაც არა ვართ ბავშვურად გულმხიარული ქვეყანა, როგორადაც ბევრნი გვთვლიან. ჩვენს ტემპებსა და მიღწევებს მიღმა იგრძნობა განგაში, უკმაყოფილება და ფარული სევდა რაღაც მიუღწეველისადმი, გაურკვეველისადმი... აი, ეს გრძნობაა გამოხატული ჯაზის სევდიან და მღელვარე ტონში, რომელიც იმალება მის ხმაურსა და რიტმულ ენერგიაში“.

# სიბრძნე სიცრუისა

**ეს იგავი ერთმა ბრძენმა ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქვა. მრავალ არაკთან ერთად წიგნად აკინძა და „სიბრძნე სიცრუისა“ უწოდა. ის ბრძენკაცი დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი იყო; დიდ ხანს ეცხოვრა, ბევრი რამ გაეგონა და თავისი თვალითაც ენახა. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ როგორც ყველა სიბრძნემ, საბას „სიბრძნე სიცრუისამაც“ ჟამთა სვლას გაუძლო და ჩვენამდე იმგვარად მოვიდა, არც პეწი დაკარგა, არც — აზრი.**

**სხვა მრავალთა შორის, აი, რას გვიამბობს სულხან-საბა ორბელიანი, — კაცი მრავალჭირნანახი და სამშობლოს პატრიოტი.**

**„ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლ-შვილი ჰყავდა და მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ველარ დადგნენ. ყოველივე გაიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმო კალოს აქათ იყო და მეორისა — იქით.**

**უხუცესი მოიპარევდის თავის ორმოდამა პურსა და ძმისაში ჩაჰყრიდის და იტყოდის: მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებელნი მყვანან, მას ძმას არა რა ჰყავს. ესე მისი იყოს და მან ჭამოს.**

**და იგი უმრწემესი ძმა მოიპარევდის თავის ორმოდან და უხუცესისაში ჩაჰყრიდის: მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილ არს; იგი, ძმა ჩემი, წვრილშვილ არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოს.**

**ეგრე დაჰყვეს ყოველნი დღენი და ღმერთმან ორთავ განუმრავლა ყოველი და არა მოაკლდა საზრდო მათ“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დააკვირდით ამ უკანასკნელს: „არა მოაკლდა საზრდო მათ“. ნუ გავიგებთ ამ იგავს პირდაპირი, ყოველდღიური მნიშვნელობით, და მორალიც ცხადი იქნება: თავისის უხვად გაცემით უმცროსს, ანუ მრწემს, არა აკლდებოდა რა, რადგან წინ უფროსის გულისხმიერება და სიკეთე ხვდებოდა; მეორეს მხრით კი, უფროსს ის მადლი უნათებდა გზას, რომელიც თავადვე ქმნა თავისი სიკეთით.

„სიკეთის ქმნა“ ადამიანურობის ერთ-ერთი ყველაზე ჭეშმარიტი დადასტურებაა. სიკეთე უსაზღვროა, ამოუწურავი, დაულეველი და დიადი. რომ შეიძლებოდეს ორიოდე სიტყვით იმის თქმა, თუ რას გამოხატავს ბოლოს და ბოლოს მთელი მსოფლიოს კლასიკური ლიტერატურა და ხელოვნება, პასუხი ამგვარი იქნებოდა: სიკეთის უძლეველობას და სიდიადეს. ალბათ, პირველი სიმღერა მზის სადიდებლად დაიბადა დედამიწაზე და ეს იქნებოდა ქება მზის სიკეთისა, რომელსაც ადამიანისათვის სითბო და სინათლე მოაქვს. პირველი ნახატი შეიქმნებოდა ისევ და ისევ სიკეთის გამარჯვებაზე — ადამიანი ამარცხებს ბოროტ ძალას, სძლევს ბუნების მრისხანებას.

შორს ნუ წავალთ, გადავხედოთ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. გარდა იმისა, რომ ყველა ხალხის ფოლკლორს თავისი განუმეორებელი შემოქმედებითი სახე აქვს, ბევრი რამ საერთოც მოეძევება. ეს არის პირველყოვლისა ისევ ბოროტზე კეთილის, სიბნელეზე სინათლის, ჭირზე ლხინის გამარჯვების მარადიული მოტივი. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ყველა, თქვენთვის კარგად ცნობილი ზღაპარი თითქმის ერთნაირად — ბედნიერად მთავრდება და ბოლოთქმაც ხშირ შემთხვევაში ერთნაირია: „ჭირი იქა, ლხინი აქა...“. ბოროტზე კეთილის გამარჯვების სიბრძნე აფორისტულად გამოხატა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სტროფში:

„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია“.

ადამიანის კეთილშობილებაზე, ვაჟკაცობაზე, სინდის-ნამუსზე კაცობრიობას საუკუნეების მანძილზე შემუშავებული წარმოდგენა აქვს. ეს წარმოდგენა დიდხანს ყალიბდებოდა, დრო და ჟამში იწრთობოდა და, ამის გამო, ურყევი და მარადიული გახდა. ქართველ ხალხს, მაგალითად, თავისი შეხედულება კაცობაზე და ადამიანობაზე „კაი ყმის“ სახით გამოუხატავს. „კაი ყმა“ ქართველი ხალხის შემოქმედების ყველაზე ქებაშესხმული გმირია. „კაი ყმა“ — ვაჟკაცი და მართალი უნდა იყოს, მოყვრობაც უნდა შეეძლოს და მტრის მტრულად დახვედრაც; უნდა უყვარდეს თავისი მამული და ერი, და არ ფიქრობდეს მხოლოდ საკუთარ თავზე, არ მიითლიდეს მხოლოდ თავისკენ, ფიქრობდეს მოყვასზე და უყვარდეს მოყვასი. აი, ერთი ხალხური, სულ უბრალო ლექსი:

„ყმაწვილო, ბეწიკუაო,
დარბაისლობა იცია?
წინ ჩასვლა, უკან ამოსვლა,
ჩაშველება იცია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგეჭრა სწორ-ამხანაგი, —
ჩასვლა-ჩაშველა იცია?“

აქ „წინ ჩასვლა“ წინ გაძღოლას და სიძნელეებთან სხვებზე ადრე შებმას გულისხმობს, „უკან ამოსვლა“ კი — მოყვასის სამშვიდობოზე გამოყვანას და ბრძოლის ველიდან ყველაზე ბოლოს გამოსვლას.

ადამიანის საქციელს, თუ ის ეწინააღმდეგება გარშემომყოფთა ინტერესებს და გამსჭვალულია მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით, თუ ამ საქციელს სხვისი ბედ-იღბლისადმი გულგრილობა უდევს საფუძვლად, ხშირად გამოვხატავთ ხოლმე ერთი სიტყვით „ეგოიზმი“. შეიძლება ეს ტერმინი ყოველდღიურობაში არც გამოვიყენოთ და ეგოისტ ადამიანზე უბრალოდ ვთქვათ: „ცუდი კაცია“, „ცუდი ბიჭია“, „ცუდი ქალია“, „ცუდი გოგოა“. მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. „ცუდი ბიჭის“, ანუ, როგორც ძველ ხალხურ ლექსებში იტყოდნენ, „ცუდი ყმის“ ერთ-ერთი ცუდკაცობა სწორედ „ეგოიზმია“. „ცუდ ბიჭს“ ყველაფერი წყენას ჰგვრის: სხვა რომ კარგად სწავლობს, უკეთ რომ თამაშობს ფეხბურთს, უკეთეს ლექსს რომ წერს; სხვას რომ აქებენ და აჯილდოებენ, სხვას რომ ბევრი მეგობარი ჰყავს... ერთი სიტყვით, ეგოიზმი ყოველ წვრილმანში მჟღავნდება და მასზე ლაპარაკიც კი უსიამოვნებას აყენებს ადამიანს.

რა თქმა უნდა, მოშურნეობა სხვებზე მეტად თვით მოშურნეს აზარალებს: აღიზიანებს, ტოლ-სწორებისაგან თიშავს, ხდის ნერვიულსა და დაძაბულს...

რა არის მოშურნეობა? თანდაყოლილი, „უკურნებელი სენი“ თუ უკულტურობა, რომელიც ჩვენდა შეუმჩნევლად თანდათანობით აღმოცენდება და იზრდება ხოლმე?

ერთი თქმულება არსებობს, ბრძენთან რომ სამი დღის ბავშვი მიიყვანეს აღსაზრდელად და ბრძენმა რომ სინანულით თქვა, სამი დღით დაგაგვიანდათ მოსვლაო. აქ დღეებზეა ლაპარაკი და, წარმოიდგინეთ, სადამდე მიდის საქმე, როცა „ბრძენთან მისვლას“ დღეობით კი არა, თვეობითა და წლობით აგვიანებენ ხოლმე?

და აი, ოჯახში იზრდება ბიჭი, „ბრძენთან მისვლას“ კი არა და არ ფიქრობენ („ბრძენთან მისვლაში“ ამჯერად გონივრული აღზრდა ვიგულისხმოთ), თავს იმით იმართლებენ, ჯერ პატარაა და, ან კეთილი სიტყვისა რა ესმის, ან დატუქსვისას რას გაიგებსო.

ბიჭს დღეობაზე ამხანაგები ეწვივნენ, მაგრამ სათამაშოები არავის დაანება. აბა, ბიჭმა რა იცოდა, რომ სტუმრისათვის პატივი უნდა ეცა, — ის ხომ „ბრძენთან“ ჯერ არ იყო მიყვანილი.

როცა ეზოში გავიდა, იქაც ყველაფერი თავისთვის უნდოდა. საკუთარ სახლში ასე იყო მიჩვეული და ფიქრობდა, სახლი და ეზო რამ გაყოო. ბებიის თუ დედის ხათრით ეზოშიც დაუთმეს და ბიჭმა იფიქრა, — მე ვარ, რაცა ვარო.

ხანი გავიდა და ახლა საბავშვო ბაღში მიაბარეს. იქაც მასწავლებლებს შესთხოვეს, ჯიუტი ბიჭია, სხვებს არა ჰგავს და ცოტა თქვენც აპატიეთო. აღმზრდელებმა იფიქრეს, ეს ბიჭი თავის დროზე „ბრძენთან“ არ მიუყვანიათ და, ახლა რომ ცოტა არ ვაპატიოთ, დაგვიანებულიც კი არისო.

საბავშვო ბაღიდან ბიჭმა სკოლას მიაშურა...

დაჩვეული ამგვარად იყო და, სკოლაშიც ყველაფერი მარტო თავისთვის უნდოდა: ყურადღება, პატივისცემა, დათმობა, კარგი ნიშანი... თავისი თავი ყველაზე უკეთესი ეგონა და ვერც კი იფიქრებდა, სხვასაც თუ ეკუთვნოდა პირველობა; სხვისთვის თავდადება კი არა, ხელის გამართვაც არ შეეძლო; უფროს-უმცროსი არ იცოდა და გოგონების პატივისცემაც არ ჰქონდა; გათამამებული — კრძალულობასთან მწყრალად იყო. და ყველაფრის თავისკენ მითლამ ერთ მშვენიერ დღეს აფიქრებინა: ყველას ვჯობივარ და მე ვარ ყველაფერიო.

„ყველამ“ კი ერთხმად დაასკვნა, რომ მოშურნე ბიჭი მოშურნეობას აღარ ჯერდება და გათავხედდა კიდეც. მაშინ მშობლები შეწუხდნენ, როგორ მოვიქცეთო.... მაგრამ ბიჭს აღარაფერი ანაღვლებდა. ვერც ინაღვლებდა, ის ხომ „ბრძენთან“ არ იყო ნამყოფი...

ნუ იფიქრებთ, რომ ბიჭის მშობლები ცუდი ხალხია. ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ მათ ზედმეტად უყვარდათ შვილი, შეშინდნენ, არ დაგვეჩაგროსო, და თავდაპირველადვე იმაზე მეტის უფლება მისცეს, ვიდრე ბიჭის „კაი ყმად“ გახდომას სჭირდებოდა. გულკეთილობამ სძლია კეთილგონიერებას და ბიჭს არავინ ჩააგონა მარტივი სიმართლე: ადამიანი მარტო არ ცხოვრობს.

ადამიანი მარტო არ ცხოვრობს!

სულ უბრალო ამბით დავიწყოთ: თქვენ გაცვიათ, იკვებებით პურით, რომელიც გლეხკაცს მოჰყავს, ცხოვრობთ სახლში, რომელიც კალატოზებმა და ხუროებმა ააგეს, სწავლობთ სკოლაში, რომლის აშენებაზეც მუშები ოფლს ღვრიდნენ, სხედხართ მერხზე, რომელიც დურგალმა გამოთალა; წიგნებზე, რომლითაც თქვენ სწავლობთ, დაიხარჯა მწერლის, რედაქტორის, კორექტორის, ასოთამწყობის, ამკინძავის და სხვათა თეთრად გათენებული ღამეები. საღამოს თქვენ მიდიხართ თეატრში ან კინოში და ზოგჯერ არც კი გახსოვთ, რომ ერთი წარმოდგენის შესაქმნელად თვეების მანძილზე იღვწოდა ათეულობით ადამიანი, ერთი კინოფილმის დასადგმელად კი — ალბათ, ათასზე მეტი კაცი.

დააკვირდით: იმისათვის, რომ ერთ დღეს ადამიანურად ვიცხოვროთ, თქვენზე ზრუნავს ხალხი, რომელთა რიცხვის დადგენაც კი შეუძლებელია. ამას დავუმატოთ კეთილი ღიმილი, რომელიც ადამიანს პურზე და წყალზე ნაკლებად არ სჭირდება, კეთილი სიტყვა, რომელიც ხშირად მხნეობასა და ძალას გვმატებს, მეგობრების სიყვარული და პატივის-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა, რაც დიდ რამედ გვიღირს, სიდარბაისლე და წესიერება უბრალო გამვლელისა, რომელსაც, ჩვეულებრივ, „უცხოს“ ვეძახით, მაგრამ რომლის სიდარბაისლეზედაც დიაღაც დამოკიდებულია ჩვენი ყოველდღიური სიმშვიდე.

ჩვენ მარტო არ ვცხოვრობთ. ადამიანს არ შეუძლია მარტო ცხოვრება. ადამიანი იღებს ხალხისაგან და ვალშია ხალხის წინაშე. მაგრამ რა ხშირად გვავიწყდება ეს უბრალო სიმართლე, რა ხშირად ვივიწყებთ ადამიანურ ვალს! და არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ, სხვა თუ არაფერი, მცირე მადლიერება მოითხოვს ვიზრუნოთ სხვებზეც; თუ არ ვიზრუნებთ, თვალი მაინც გავუსწოროთ დანარჩენთა წარმატებას, დავაფასოთ და ვაღიაროთ იგი, გულში ხინჯი არ დაგვრჩეს, რომ სხვის ადგილზე სწორედ ის „სხვა“ დგას და არა — ჩვენ.

ეგოისტ ადამიანს სწორედ საზოგადოების წინაშე ვალის მოხდა არ უნდა. ის იმკის ყველა სიკეთეს, რასაც საზოგადოება ხელგაშლით სთავაზობს, თვითონ კი მისთვის თითის განძრევაც არა სურს. ის ყველაფერს გამორჩენის მიზნით უცქერის და ვრცელ დედამიწაზე ამჩნევს მხოლოდ თავის თავს.

ის ყველაფერში ცუდს ხედავს. მისთვის კარგი ისაა, რის სარგებლობასაც მხოლოდ საკუთარ თავზე გამოსცდის. ის გზას ჯიუტად მიიკვლევს და ქვეყნის კეთილდღეობა სულაც არ აღელვებს.

ის თვალს ვერ უსწორებს ამხანაგს, რომელმაც ხვალ შეიძლება ერის სახელი ქვეყნიერებას მოჰფინოს.

მან არ იცის თავისი მოწოდება და თავისი ადგილი საზოგადოებაში.

და ისევ და ისევ, ვიდრე გადამწყვეტ დღემდე მივიდოდეს, თავის ნამდვილ ბუნებას წვრილმანებში ამჟღავნებს: ყველას მუჯლუგუნს გაჰკრავს-გამოჰკრავს და თავად შევარდება ავტობუსში; ასიოდე ადამიანს არაფრად ჩააგდებს და ბილეთების რიგს თავში მოექცევა; ხმაურით აიკლებს სახლ-კარს და თავს მოაბეზრებს დაღლილ მეზობელს...




მაგრამ ნუღარ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც თვალს უსიამოდ ხვდება და ყურსა ჭრის. ვილაპარაკოთ დიდ სიკეთესა და სათნოებაზე, იმაზე, რომ არსებობს ამბავი ირმისა, ირემს რომ უწველიდა ბალახს. და ეს ლამაზი ამბავიც ადამიანებმა შექმნეს; რომ იყვნენ ორნი ძმანი და ერთმანეთის ორმოში ხორბალს ყრიდნენ, და ეს იგავიც ბრძენმა ადამიანმა შეთხზა; რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირმა ავთანდილმა მეგობრისათვის თავის დასადებად ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა, და ეს ვაჟკაცური პოემაც პოეტთა შორის უბრძნესმა ადამიანმა იმღერა... და კიდევ ვილაპარაკოთ ჩვენს დღეებზე, ვილაპარაკოთ თქვენზე, რომელთაც დიდი ცხოვრება ჯერ წინ გაქვთ. მაგრამ ამთავითვე კარგად უნდა უწყოდეთ ავ-კარგი, დიადისა და ლამაზის ფასი.

და აი, რა ლამაზია:

ჟურნალში კითხულობ თანაკლასელის პირველ ლექსს. ის ჩვეულებრივი მოსწავლე იყო, უწყინარი და თავმდაბალი. სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, თურმე მშვენიერ ლექსებს კი წერდა. და შენ მთელი გულით გიხარია, რომ შენი ამხანაგი ასეთი ნიჭიერია, ასეთი კარგი ლექსის შექმნა შეუძლია.

შენს მეზობელს კი ხატვა ეხერხება. ზოგიერთები ამგვარ გატაცებას ახირებადაც კი უთვლიან, ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათი თანატოლი და თანაც მეზობელი შეიძლება ისეთ სერიოზულ საქმეს შეეჭიდოს, როგორიცაა მხატვრობა. ერთ მშვენიერ დღეს კი ცნობილი გახდა, რომ ამ „ახირებამ“ მარტო თბილისელი კი არა, საზღვარგარეთელი დამფასებლებიც აალაპარაკა და, რომ უწყინარმა მეზობელმა ნორჩ მხატვართა საერთაშორისო კონკურსზე ღირსეული ჯილდო დაიმსახურა. ეს გახარებს. გახარებს, რომ შენს მეზობლად ასეთი კარგი ბიჭი და ნიჭიერი მხატვარი ცხოვრობს.

აი, დღეს შეჯიბრება გაქვს. ცურვაში ეჯიბრები სერიოზულ მეტოქეს. ამ შეჯიბრებაზე ბევრადაა დამოკიდებული, იქნები თუ არა თანატოლებში პირველი და, გსურს — შეჯიბრს ყველა შენი თანატოლი ესწრებოდეს. მათ ვერ ხედავ ტრიბუნაზე და მცირე ეჭვიც კი გიპყრობს, ვაი თუ არ მოვიდნენ და არ გაიზიარონ შენი სიხარული ან მწუხარება, რაც შეიძლება დამარცხებამ მოგგვაროს. შეჯიბრში იმარჯვებ და გამარჯვებაზე მეტად სიხარულს ის გგვრის, გასახდელთან რომ მეგობრები გვხვდებიან. მათ თვალები უბრწყინავთ, ამაყობენ შენით და, გიხარია, რომ შენი სიხარული მათი სიხარულია.

წლები გადის და კვლავ ეჯიბრები ძველ მეტოქეს. მეტოქეები აქა ხართ, სპორტულ არენაზე, ისე კი — „მეტოქეც“ მეგობარია. მჯობნის მჯობნი არ დაილევა და ამჯერად დამარცხდი. დიაღაც მწარე იყო შენთვის ეს დამარცხება. იცი, როგორ ატკინე გული გულშემატკივრებს, რომელნიც ახლაც გასახდელში შეგხვდებიან. გინდოდა უძლეველი ყოფილიყავი და ამაში არაფერია ცუდი, — უძლეველობის წყურვილი ქმნის დიდ სპორტს, იცი, რომ გული დასწყვიტე მამასაც, რომელმაც თავად მიგიყვანა მწვრთნელთან, მაგრამ პატივს სცემ სხვის ნიჭს და შრომას, საკუთარი დამარცხების სიმწარესთან ერთად ვაჟკაცურად აღიარებ ღირსეულის გამარჯვებას და, მერწმუნე: ყველაზე მეტად გამარჯვებულს შენი გულწრფელი მილოცვა ახარებს.

სიკეთით არაფერს კარგავ!

სიკეთით იძენ მეგობრებს, ამხანაგებს, კეთილმსურველებს და განიცდი სულიერ კმაყოფილებას. გახვალ ცხოვრების გზაზე და მიხვდები, რას ნიშნავს სულიერი კმაყოფილება. ადამიანებს, ჩვეულებრივ, აწუხებთ კითხვა: რისთვის მოვიდა ამქვეყნად იგი, რაშია ცხოვრების აზრი, რა არის ბედნიერება და მიაღწევს თუ არა ბედნიერებას. უთუოდ ბევრს წაიკითხავთ, ბევრს ნახავთ და გაიგებთ. ხანი გავა და, ბედნიერებაზე თქვენებურადაც იმსჯელებთ. ამჯერად კი ვეცადოთ და ორგვარი სურათი წარმოვიდგინოთ.

პირველი: ცხოვრობენ ადამიანები, იზრდებიან თაობები, ქვეყნად კი არაფერი იცვლება. ცხოვრების წესად და ადათად მგლური კანონი ქცეულა: ყველაფერი მხოლოდ ჩემთვის, ჩემი სიამოვნებისათვის! დიდი და პატარა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და არც კი იცი, ხვალ რა მოგელის. ყველა იმას ცდილობს, რაიმე წაგგლიჯოს. ამქვეყნად არავის ახარებს შენი სიხარული და არავის ადარდებს შენი მწუხარება. იცი,

რომ უკვალოდ გაქრები, რადგან შენგან არაფერი დარჩება ხალხს, რომელსაც არ ენაღვლები.

ხომ საშინელება იქნებოდა ამგვარი ცხოვრება?

მაგრამ, აი, მეორე სურათი:

დედამიწაზე ცხოვრობს ხალხი, ერთიანი და მონოლითური. ერთი მეორეს პატივს სცემს, აფასებს მის ნიჭსა და ღირსებას. შენ იღწვი და გჯერა, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებ კაცობრიობისათვის. გარშემო მყოფთ ხელს უმართავ შეძლებისდაგვარად. შეგიძლია ერთგულებაც და თავდადებაც. ცხოვრება წინ მიდის მთელი თავისი მრავალფეროვნებით და თავისი დიდი სიკეთით აწესრიგებს ადამიანის უძნელეს ბრძოლას ბუნების მკაცრ ძალებთან. და თვით სიკვდილიც არაფრად მოჩანს იმის წინაშე, რომ გჯერა: დიდი კაცობრიობის პატარა, მაგრამ საჭირო ნაწილი ხარ, ყველა მადლი, რასაც ამქვეყნად თესავ, თაობიდან თაობას გადაეცემა.

ამგვარი ნათელი ცხოვრებისათვის იბრძოდა ხალხი დასაბამიდან დღემდე; იბრძვის ჩვენი ვრცელი ქვეყანა, როგორც ღირსეული მემკვიდრე მთელი საკაცობრიო ცივილიზაციისა.

ნუ იფიქრებ მხოლოდ შენს თავზე.

ნუ მიითლი მხოლოდ შენსკენ.

ირგვლივ ადამიანები არიან. შთააგონე საკუთარ თავს, რომ ისინი შენი ბედნიერებისათვის ილვწიან და შენც უნდა იზრუნო მათთვის.

ადამიანების სიყვარულით დიდ საკაცობრიო საქმეს გააკეთებ.

ამაშია სიბრძნე სიკეთისა!

**თამაზ ბიბილური.**

მხატვარი ედ. ამბოკაძე.





# ასე დაიწყო

ფხვიერი მიწის პირი მიიწ-მოიწია და... ბუჩქის ძირას იის ლურჯმა თვალებმა ამოანათეს.

ის იყო დამტვერილი კაბა უნდა შეებერტყა იას, რომ უეცრად მოესმა:

— ბიჭებო, ია ამოსულა! მოდი მოვწყვიტოთ.

იამ დაინახა მისკენ დახრილი ბიჭუნა და შიშისაგან გააქრქოლა.

— ხელი არ ახლო, ცოდვაა,—დაუშალა მეორემ.

ბიჭებმა გზა განაგრძეს და მალე თვალს მოეფარნენ. იამ შვებით ამოისუნთქა.

ნაშუადღევს, იმავე ბუჩქის ძირას, სხვა იებმაც ამოყვეს თავი და თავიანთ დობილს მხიარულად მიესალმნენ. მერე ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და ბუჩქის გარშემო ფერხული ჩააბეს.

ასე დაიწყო გაზაფხული.

**ჟულიეტა ჩოჩიშვილი**
ქ. გორის 11-ე საშ. სკოლის IV კლასის მოსწავლე

# რეკეთ, ზარებო!

(ხალხური)

თოვლის ფიფქები მოფრინავენ ფარფატით ციდან,
ეფინებიან საბნად მინდორს, მშობლიურ მხარეს;
ერთცხენიანი მისრიალებს მარხილი თოვლზე,
სიცილ-კისკისი ჩვენი არხევს გაყინულ ჰაერს.

განწყობილებას ქმნის მხიარულს წკრიალი ეჟვნის,
წკრიალი იგი თითქოს სწვდება დანისლულ ცის პირს;
ო, რა კარგია, ისრიალო მთელი დღე ასე
და კუდმოჭრილი ცხენი გგვრიდეს ღიმილს და სიცილს.

რეკეთ, ზარებო, რეკეთ, რეკეთ დაუსრულებლად,
რეკეთ, რომ ეს ხმა გაიშალოს სივრცეში ფართოდ,
რეკეთ, აჰყევით ჩვენს სიმღერას, აჰყევით ერთხმად,—
თავი არ იგრძნოს ამ მარხილმა მინდორში მარტოდ.

ინგლისურიდან თარგმნა
**ქეთევან სიხარულიძემ,**
თბილისის 57-ე საშ. სკოლის
VIII კლასის მოსწავლემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ღრუბელი

ქ. ანდერსენი

გაზაფხულის ერთ მშვენიერ, მაგრამ მცხუნვარე დღეს ზღვიდან ამოცურდა პატარა ღრუბელი. მხიარულად და მსუბუქად გასწია მაღლა, ლურჯი ცისაკენ, რომელიც დიდი გვალვისაგან სულ მთლად გამომშრალიყო.

გასცურა თუ არა ცოტა, შენიშნა, როგორ ღვრიდა მის ქვევით ოფლს მშრომელი ხალხი.

— მე ხომ შემიძლია კარგი საქმე გავაკეთო ადამიანებისათვის, შრომა შევუმსუბუქო და წყურვილი მოვუკლა, — წამოიძახა შეწუხებულმა ღრუბელმა.

დედამიწაზე უფრო ჩამოცხა. მზეც უფრო და უფრო აცხუნებდა, სულს უხუთავდა ადამიანებს, შეუსვენებლივ რომ მუშაობდნენ.

ადამიანებმა ღრუბელს ნაღვლიანი მზერით ახედეს. მათი თვალები თითქოს ამბობდნენ: — ნეტავ შეგეძლოს ჩვენთვის შველაო.

— დიახ, მე თქვენ გიშველით, — წარმოსთქვა ღრუბელმა და დაიხარა დედამიწისაკენ. უცებ, მოაგონდა ბავშვობაში ზღვის ფსკერზე გაგონილი სიტყვები: ღრუბელი მაშინ მოკვდება, როცა ძალიან დაბლა დაეშვება დედამიწისკენო, შეეშინდა, მაგრამ მაინც მხიარულად შესძახა:

— ჰეი, ადამიანებო, მე თქვენ გიშველით, რადაც არ უნდა დამიჯდეს.

ამის შემდეგ იგი თითქოს უფრო გაიზარდა, თითქოს უფრო გაძლიერდა. მისი მოახლოება იგრძნო ხალხმა, იგრძნეს ცხოველებმა, ბალახები და ხეები მოწიწებით დაბლა უხრიდნენ თავს.

— დიახ, მე თქვენ გიშველით! — შესძახა ღრუბელმა კიდევ ერთხელ. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ნათელმა სხივმა გაიელვა მის გულში. ელვას ქუხილი მოჰყვა, ხოლო შემდეგ დიდი ხნის ნანატრი, მაცოცხლებელი წვიმა წამოვიდა.

დედამიწაზე, სადამდეც წვიმამ მიაღწია, ულამაზესი ცისარტყელა აღიმართა, რომელიც თითქოს გამოხატავდა წვიმადქცეული ღრუბლის დამშვიდობებას დედამიწასთან.

მალე გაქრა ცისარტყელა, მაგრამ ღრუბლის კეთილშობილური ღვაწლი არავის არ დაავიწყდება ამ ქვეყანაზე.

გერმანულიდან თარგმნა
ადა ჟორდანიამ,
თბილისის 42-ე საშ. სკოლის
VIII კლასის მოსწავლე.




ყოველი დილა
ჩემთვის ახალი დაბადებაა,
ყოველ განთიადს რაღაც ახალი
მუდამ თანა სდევს...
და სიხარული ისე დიდია,
ო, ისე დიდი...
ნეტავი, მხოლოდ იბადებოდნენ
ამ ქვეყანაზე!

ლალი მამასახლისი,
თბილისის მე-100 საშ. სკოლის
X კლასის მოსწავლე.



ჩემი
მხარის
სიმდიდრე

ფოტო
კლარა
ფოფხაძისა.
მირზა გელოვანის
სახელობის თიანეთის
საშ. სკოლის IX კლასის
მოსწავლე.



# ტყეში

დაბურულ, საიდუმლოდ მობუბუნე ტყეში უჩუმრად მივაბიჯებ.

მზის სხივს გამოურღვევია ცადატყორცნილი ხეების ჯებირი და სიხარულის ცრემლებს უმშრალებს ფოთლებსა და ყვავილებს. საიდანღაც სოკოებიც მობრძანებულან ჭრელ-ჭრელი ქოლგებით. ნამიან ბალახებს ჩუმჩუმად ეცინებათ ყვავილების გადამეტებულ მანჭვა-გრეხაზე. „ნიავის ბრალია“, — ეშმაკურად ჩურჩულებენ და თვითონაც ნაზად ნანაობენ. ნიავი უმალ იტაცებს მათ ჩურჩულს და მალე ყველა გებულობს, რატომ იპრანჭებიან კეკლუცი „პატარძლები“.

ტანაყრილი ჭადარი ღიმილით გადმოხედავს პაწაწინებს, მუხა გულკეთილად ჩაიბუბუნებს: „ძალიან ლამაზები არიან ჩვენი ყვავილები, ძალიან“. წერწეტა ნაძვი ტანს შეარხევს, „მართალი ხარო“, — ნათქვამს დაუდასტურებს ბრძენ მუხას. მერე სადღაც ტოროლა აწკრიალდება, აფრინდება მაღლა, მაღლა... „გაილვიძაო ტყემ,“ — ეტყვის პატარა ჩიტუნა დიდებულ მნათობს.

ზოია მარგველაშვილი,
ხაშურის რკინიგზის მე-8 საშ. სკოლის
VII კლასის მოსწავლე.

# ლექსად ვღიღინებ...

როცა ინათებს დილა ახალი,
კარს შემოაღებს ახალი წელი,—
ჩემი ოცნების იშლება ფრთები
და სიხარულით ვინთები, ვმღერი.
ასე მგონია, ახალწლის დილა,
თოვლის ფანტელზე სხივს რომ განაბავს,—
დასაბამია ახალ სიცოცხლის
და წასულ დილას იგი არა ჰგავს.
დე, სიჭაბუკის ჩემმა სიმღერამ
ბედნიერების დღე გამიგრძელოს...
ჩემო სამშობლოვ, ყოველ ახალ წელს
ლექსად ვღიღინებ შენს სადღეგრძელოს.

# მერცხლის ბუდეს ვნატრობ

სისხამ დილით ჩემს ერდოზე ჭიკჭიკებდი, —
თითქოს ზეცის იხსნებოდა კარი ფართოდ...
რაც წახვედი, რაც დატოვე შენი ბუდე,
გეფიცები, გულით გნატრობ.

ნეტავ მაინც თუ იმგზავრე უხიფათოდ,
ჩააღწიე? მიესალმე ცისფერ განგას?
თუ უთხარი ჩემს ტოლ-სწორებს — ინდოელებს,
რომ ცისმარე შევხაროდი მე შენს გაზრდას?

თუ უამბე, რარიგ ტურფა, ლამაზია
საქართველოს საოცნებო მთა და ველი,
ან თუ ფიქრობ, გაისადაც დაგვიბრუნდე,
ისევ-ისე ხმატკბილი და უზაკველი?

იჭიკჭიკე, იგალობე აქაც, იქაც,
ჩემს ერდოზე გამოზრდილო მერცხლის ბარტყო.
რაც წახვედი, რაც დატოვე შენი ბუდე,
გეფიცები, გულით გნატრობ.

თემურ ნუცუბიძე,
სამტრედიის რაიონის სოფ. დიდი ჯიხაიშის
საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვაჟა-ფშაველა
(თაბაშირი)

**ვაჟა დათებაშვილი,** თბილისის მე-4 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## ღამე პარკში

დაღამდა და მიიძინეს ყვავილებმა,
ტკბილ სიზმრებით ბაგეგაპობილებმა.
ნეტავ ხვალაც იცოცხლებდნენ ყველანი,
არ მოსწყვიტონ პატარების თითებმა.

ზეცამ გახსნა არტახები,—
ვარსკვლავებმა გაიზმორეს შვებით,
წამოფრინდნენ აკვნებიდან ზედიზედ,
და ვით დედას, ცას მიეკვრნენ ლხენით.

განა ერთი, განა ორი, განა ასი,—
უჰ, რამდენი მოციმციმე თვალია!
თითქოს თამარს გადუშლია შოთას წიგნი,
თითო ასო—თითო ნაპერწკალია...

დაღამდა და მიიძინეს ყვავილებმა,
ტკბილ სიზმრებით ბაგეგაპობილებმა.
ალბათ ახლა
სადმე მწვანე ნაძვის ძირას
უდარდელად დაიძინა ირემმაც.

## გამაქროლე, ბედაურო!

გამაქროლე, ბედაურო,
ოღონდ ჩქარა, ჩქარა,
გადავლახოთ მწვანე ქედი,
ატეხილი ჭალა.

ჩამიყვანე ჩემს სოფელში
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა...
მომენატრა ჩემი ბებო,
ჩემი სახლი, ყანა!

**თამაზ კახიძე,**
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლის ნორჩ შემოქმედთა წრის
წევრი, IX კლასის მოსწავლე.

## დიდი პაპა

პაპა მიმჯდარა
სახლის კარებთან,
ბეჭები მზისთვის მიუშვერია;
ნაზამთრალ სახსრებს, დასუსტებულებს,
მზის მცხუნვარება მონატრებიათ.

პაპავ, მოვედი,
რომ მოგეხვიო,
ისევ მომინდა შენთან თამაში,
მაგრამ მუხლები
რომ არ გეტკინოს,
არ ჩაგიჯდები, პაპავ, კალთაში.

შენ თვალებს ლულავ,
თვლემა გერევა,
ჰოდა, იძინე, თუნდ საღამომდე,
არ მიგატოვებ, შენთან ვიქნები,
მე მინდა შენი ცქერით ვხარობდე.

**ლელა ხაჩიძე,**
ქ. გორის 1-ლი საშ. სკოლის
IV კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სსრ ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბის დებულება

ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბი (ნმრკ) არის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია. კლუბი მუშაობს ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურთან.

## კლუბის მიზნები და ამოცანები

კლუბის მიზანია პიონერ-მოსწავლეებში გააღვივოს და გააღრმავოს ინტერესი მშობლიური მხარის საფუძვლიანად შესწავლისადმი, რათა ყოველი მოსწავლე უშუალოდ ეცნობოდეს თავისი ხალხის ისტორიულ და რევოლუციურ წარსულს; თავისი სკოლის, სოფლის, რაიონის, ქალაქის მკვიდრთა სასახელო საქმეებს; მონაწილეობას იღებდეს უფროსების პრაქტიკულ-შემოქმედებით მუშაობაში, ეძებდეს წიაღისეულ სიმდიდრეს, აკვირდებოდეს და სწავლობდეს ბუნების მოვლენებს, იცავდეს ისტორიულ ძეგლებსა და ბუნებას.

## კლუბის მუშაობის ფორმა და შინაარსი

ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბი კონსულტაციებით დახმარებას უწევს სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პირველადი კლუბების კოლექტივებს — ლაშქრობების, ექსკურსიების, შეკრებების, ექსპედიციების ჩატარებაში, მარშრუტების შერჩევასა და დამუშავებაში, ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობისათვის აუცილებელი აღჭურვილობის და ინვენტარის დაქირავებასა და შეძენაში, მუზეუმების და მხარეთმცოდნეობითი კუთხეების მოწყობის, ნორჩ ტურისტ-ინსტრუქტორებისა და ექსკურსმძღოლების მომზადების საქმეში. კლუბი აწყობს ვიქტორინებს, ტურისტულ თამაშობებს, კონკურსებს, შეჯიბრებებს, ექსკურსიებს (რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ), ლაშქრობებს, ტურისტულ ბანაკებს და სხვ. ზაფხულის პერიოდში ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში უფასოდ ღებულობს კლუბის აქტიურ წევრებს და უწევს მათ სექსკურსიო მომსახურებას.

ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბი პირველადი კლუბებისათვის ადგენს სახელმძღვანელოს. ყოველ სექტემბერში აწყობს კონკურსს მშობლიურ მხარეში მოგზაურობის ამსახველ საუკეთესო ხელნაწერ ჟურნალზე.

## ვინ მიიღება ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბის წევრად

„ნმრკ"-ს წევრად შეიძლება გახდეს V-X კლასების ყველა პიონერი და მოსწავლე, თუ მან: 1. თავის სკოლაში ან სკოლისგარეშე დაწესებულებაში შესძლო 8-9 უმცროსი კლასელის ან თანაკლასელებისაგან შემდგარი ნორჩ მოგზაურთა ჯგუფის ჩამოყალიბება და მათთან ერთად შეასრულა რესპუბლიკური კლუბის მიერ მიცემული დავალება; 2. სასწავლო წლის განმავლობაში მოახერხა ამ ჯგუფში აკადემიური ჩამორჩენილობის სრული ლიკვიდაცია.

კლუბის წევრმა ჯგუფთან ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა კლუბის მიერ გამოცხადებულ ვიქტორინაში და უპასუხოს კონკურსის ყველა 30 კითხვას, პირობის მიღებიდან 10 დღის ვადაში

კლუბის წევრებმა უნდა მოაწყონ ერთი ექსკურსია კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ფაბრიკასა ან მუზეუმში, ერთდღიანი ლაშქრობა ისტორიულ ან რევოლუციურ ადგილებში, ლაშქრობა ღამის თევით ბუნების წიაღში (მახლობელ მთაზე, ხეობაში, ტყეში და სხვ.), ჯგუფის წევრების ასაკისათვის შესაფერისი მარშრუტით.

ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკურ კლუბთან მუშაობს 11 სექცია. პირველად კლუბთან შეიძლება იმუშაოს რამდენიმე სექციამ. ყოველ კლუბთან უნდა მუშაობდეს პრესის სექცია.

(დასასრული გარეკ. მე-4 გვ.).

## სარჩევი


აქარგული, ჩაქარგული (ნოტ. მუსიკა ნ. გაბუნიასი) გარეკ. 2
ნ. მგელაძე — ფერისცვალება (ნარკვევი) . . . 1
გ. გიგაური — პიონერული (ლექსი) . . . . 3
დ. ვადაჭკორია — ჩემი სოფელი (მოთხრობა) . . 4
ს. შამფრიანი — ყოჩაღ, საჯავახოელო პიონერებო! (ნარკვევი) . . . . . 10
ოქროს საწმისი . . 12
ქ. ჭილაშვილი — ეკიპაჟი „კისკისა" (პიესა. დასასრული) . . . . 14
ნ. ქავთარაძე — ჯაზური მუსიკა (წერილი) . . 18
თ. ბიბილური — სიბრძნე სიკეთისა (წერილი) . . 22
პიონერული კალათონი . . . . . . 26
ახალი წიგნები . . 30
გამოცანები . . . 30
ბუნების კარი . . . 31
თავშესაქცევი . . 31
საქ. სსრ ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბის დებულება . . 32



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — ზურაბ ფორჩხიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები:
რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და
განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული". უე 04904 ტირ. 67.700. ქაღ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2
ხელმოწერ. დასაბ. 15/V-67 წ. სტამბის შეკვ. 1628. გამომც. შეკვ. 221. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.



თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ **მიტო გორდელაძემ** დაასურათა ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!" ვბეჭდავთ რამდენიმე ილუსტრაციას.














6159/126

### კლუბთან მომუშავე სექციები

1. წითელ კვალისმძებნელთა; 2. ნორჩ ისტორიკოსთა; 3. ნორჩ გეოგრაფ-მხარეთმცოდნეთა; 4. ნორჩ გეოლოგთა; 5. ნორჩ ფენოლოგთა; 6. მხატვარ-მხარეთმცოდნეთა; 7. ნორჩ მთამსვლელთა; 8. სამუზეუმო მუშაობის; 9. კოლექციონერების; 10. პრესის; 11. ტურიზმის ინსტრუქტორთა მომზადების სექცია.

პრესის სექციის საშუალებით რესპუბლიკური კლუბი ამყარებს კავშირს ნორჩ მოგზაურთა პირველადი კლუბების ყველა შესაბამის სექციასთან.

### რესპუბლიკური კლუბის ხელმძღვანელობა

ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკურ კლუბს ხელმძღვანელობს კლუბის საბჭოს მიერ არჩეული შტაბი 11 კაცის შემადგენლობით.

კლუბის უმაღლესი ორგანო არის ნორჩ მოგზაურთა რაიონული და საქალაქო კლუბების წარმომადგენლებისაგან შემდგარი რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენცია ირჩევს კლუბის საბჭოს, ხოლო კლუბის საბჭოს წევრები ირჩევენ შტაბს.

კლუბი ირჩევს საპატიო წევრებს და ჰყავს მეგობართა დამხმარე საბჭო. მეგობართა საბჭოში შედიან: სამოქალაქო და სამამულო ომის ვეტერანები, ძველი კომუნისტები, მეცნიერები, წარმოების მოწინავენი, განათლების, კომკავშირული და პიონერული მუშაკები, რესპუბლიკური ტურისტული საბჭოს წევრები, ხელოვნების, ლიტერატურის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, გამოჩენილი ალპინისტები და ტურისტები, მონადირეთა კავშირის წევრები და სხვ.

„ნმრკ"-ს აქვს საკუთარი სამკერდე ნიშანი, სიმღერა და საპატიო წიგნი, რომელშიაც წელიწადში ერთხელ (კლუბის დაარსების დღეს) შეიტანება საუკეთესო კოლექტივები, კლუბის მოღვაწეთა და ცალკეულ პიონერ-მოსწავლეთა გვარები.

კლუბის თითოეულ წევრს ეძლევა მოწმობა, კოლექტივს — ვიმპელი.

კლუბის მისამართია: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52. ტელ. 5-48-69.

ИНДЕКС